# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 13 ოქტომბერი 2001 №196 (1469) · ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარის საწინააღმდეგოდ

## გურულები დინამოსთან უიმედოდ არ არიან



ბოლო „მერანი“ — „კოლხეთი“, 4:2 რომ მორჩა, ფედერაციამ საეჭვოდ მიიჩნია და შედეგი გააუქმა

რისი ან ვისი იმედი უნდა ჰქონდეს უმთავარმწვრთნელო, პრობლემებმოძალებულ ლანჩხუთის „გურიას“, აგერ, გუშინ ახალპატრონგაჩენილ თბილისის „დინამოსთან“? გურულთა თავკაცობა საამპატჩოლ გუნდის უფროსმა, გულსუნდა დუნდუამ იკისრა, რომელსაც ჩვენში უფრო, სხვა სახელით, იმედოთი იცნობენ. დღეს თბილისისკენ აბარგებულ გურულთა ერთადერთი იმედიც სწორედ ისაა. დედაქალაქს წინა ტურში შინ „დინამოსთან“ შერცხვენილი „კოლხეთიც“ სტუმრობს – ფოთელები ავჭალაში „მერანთან“ შეეცდებიან ხეირის ნახვას. ამათი შეხვედრა პირველია შარშანდელი სკანდალური მატჩის შემდეგ, რომელიც სტუმარმა 4:2 მოიგო და ფედერაციის საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებით წინასწარგარიგებულად შეფასდა, რასაც ორთავე გუნდისთვის ნაგების ჩათვლა მოჰყვა. ამათ გარდა ბათუმში „ლოკომოტივის“ სტუმრობაა საინტერესო და მთლად ინტრიგამოკლებული არც ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, ქუთაისიდან წყალტუბოში ჩასული „ტორპედოს“ „სამგურალთან“ შეხვედრა უნდა გამოდგეს. ეს გუნდები 1999 წლის თასის ფინალის შემდეგ აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. მაშინ „ეროვნულზე“ 0:0 ითამაშეს და პენალტების სერიით „ტორპედომ“ პირველი ტიტული მოიგო, „სამგურალის“ თავს კი მას მერე პირველი ლიგის წისქვილის ქვაც დატრიალდა.

იხილეთ მეოთხე გვერდი

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი 13
პირველი ეტაპი
**11 ტური**
13 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | ლოკომოტივი |
| ვიტ ჯორჯია | სიონი |
| დინამო | გურია |
| მერანი | კოლხეთი |
| სამგურალი | ტორპედო |
| მეტალურგი | გორდა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 9 | 1 | 0 | 26:4 | 28 |
| ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 21:6 | 24 |
| მერანი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:15 | 19 |
| ბათუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:6 | 18 |
| დინამო | 10 | 5 | 1 | 4 | 22:10 | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 17:12 | 15 |
| კოლხეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:18 | 14 |
| სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 7:17 | 11 |
| სამგურალი | 10 | 2 | 1 | 7 | 7:19 | 7 |
| გურია | 10 | 1 | 4 | 5 | 6:15 | 7 |
| გორდა | 10 | 1 | 3 | 6 | 8:21 | 6 |
| მეტალურგი | 10 | 0 | 3 | 7 | 3:22 | 3 |

# საქართველო U17: იაშვილი და ლაშა-გიორგი

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები კობა ჟორჟიკაშვილის მეთაურობით ევროპის 2002 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებს. ჭაბუკთა შესარჩევი ტურნირი უკვე მეორედ ტარდება თბილისში და ორი წლის წინა ანალოგიური შეჯიბრისგან განსხვავებით წლეულს მატჩებს „ლოკომოტივის“ ახალაშენებული სტადიონი უმასპინძლებს. მეათე, ქართველთა ქვეჯგუფში ოთხის ნაცვლად სამი გუნდი შეეცილება ერთმანეთს დანიაში გაისად გასამართი ფინალური ტურნირის ერთადერთ საგზურს. გუშინ „ლოკომოტივისვე“ საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს 17-წლამდელთა დამრიგებლის კობა ჟორჟიკაშვილის პრესკონფერენცია მოეწყო. „ჩვენ მხოლოდ პირველობა დაგვაკმაყოფილებს. რაც უნდა იყოს, შესარჩევი





17-წლამდელთა თავკაცი, კაპიტანი და სარბიელი: კობა ჟორჟიკაშვილი და ლაშა ჭელიძე „ლოკომოტივის“ პრეს-ჰოლში





მატჩები თბილისშია, რაც ჩვენთვის დამატებითი სტიმულია. ქომაგების გახარებას ვეცდებით“ – დაგვპირდა ნაკრების ძმებ ჭელიძეთაგან უფროსი, ქუთაისის „ტორპედოს“ მცველი, ლაშა ჭელიძე, რომელიც გუშინდელი პრესკონფერენციისას მწვრთნელმა იახლა. 16 წლის გუნდისთავი თბილისში გამართული წინა შესარჩევი ტურნირის მონაწილეცაა, მაგრამ მაშინ ჭელიძემ და სხვა 16-წლამდელებმა, რომლებსაც რევაზ გაგუა წვრთნიდათ, ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. არადა, გაგუამვე ამავე ასაკის გუნდი, 1997 წელს ერთხელ უკვე ათამაშა გერმანიაში, ევროპის ჩემპიონატზე. ნაკრების მთავარი დამრტყმელი ძალა კი მაინც თავდამსხმელი სანდრო იაშვილია, რომელიც „ვიტ ჯორჯიას“ ამ ზაფხულს იტალიურ „რომაში“ ჰყავდა გაშვებული გასინჯვაზე.

იხილეთ მესამე გვერდი

## გერმანია

II ბუნდესლიგა

IX ტური

უნტერჰახინგი 1:0 შვაინფურტი
ალემანია 0:0 ზაარბრიუკენი
კარლსრუე 2:0 დუისბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XII ტური

ლიუბეკი 4:1 მაგდებურგი
მიუნსტერი 0:1 კილი

სამხრეთ რეგიონალლიგა

XIII ტური

კიკერსი 2:1 ერფურტი
ფულდა 1:3 დარმშტადტი

## ინგლისი

I დივიზიონი. XIII ტური

როტერჰემი 2:1 პორტსმუთი

II დივიზიონი. XIII ტური

კარდიფი 2:2 უიგანი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XII ტური

ვასკეალი 0:2 ლავალი
გრენობლი 0:5 ისტრი
ლე მანი 1:0 ნიცა
აიაჩო 1:1 გენიონი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. IX ტური

როდა 0:1 პსვ ეინდჰოვენი

II დივიზიონი. IX ტური

ვენლო 2:1 მაასტრიხტი
კამბური 0:2 ექსელსიორი
დენ ჰააგი 2:0 ოსი
დორდრეხტი 4:1 ეინდჰოვენი
როზენდალი 0:3 ემენი
ჰაარლემი 1:1 ზვოლე

## პოლონეთი

B ჯგუფი. XI ტური

ამიკა 1:1 შლიონსკი

## თურქეთი

VIII ტური

გალათასარაი 4:1 გიოზთეფე

## რუსეთი

გადადებული მატჩი

ზენიტი 0:0 ლოკომოტივი

## ნორვეგია

XXIV ტური

ბრანი 0:1 ვიკინგი

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### აზია II წრე

A ჯგუფი. VIII ტური

ირანი 2:1 ერაყი

1:0 მაჰდავიკია (27), 1:1 დრაიბი (52), 2:1 ქარიმი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 7 | 4 | 3 | 0 | 9:4 | 15 |
| საუდის არაბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:7 | 14 |
| ერაყი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:10 | 7 |
| ბაჰრეინი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| ტაილანდი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | 3 |

ტაილანდი — ბაჰრეინი დღეს გაიმართება

## პორტუგალია

I ლიგა

VIII ტური

ვიმარაეში 2:0 ბოავიშტა

## იტალია

სერია B. IX ტური

ბარი 1:0 ჯენოა



REUTERS

ირანი — ერაყი 2:1. გამარჯვებული ირანი მეჰდი მაჰდავიკიამ (№2) დააწინაურა


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა

გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

☎ 53-73-00; 95-00-33


საქართველოს ჩემპიონატი 13 პირველი ლიგა პირველი ეტაპი

# 11 ტური



გუშინ ვლადიმერ ხაჩიძეს (მარცხნივ) მერაბ კოჭლაშვილმა აჯობა

# გაკვეთილი ლიდერს

მცხეთა
12 ოქტომბერი
16.00 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:0 დილა**

1:0 ნოზაძე (33)

თსუ: გუგუნავა, დათუნაიშვილი, ქირაშვილი, კუპრეიშვილი (იაკობიძე 59), ბერიანიძე, ჟორჟავა, ჩოხელი (შოშიაშვილი 78), მერებაშვილი (სოხაძე 90), მესხი, ნოზაძე, ლობჟანიძე

დილა: სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, ლომიძე, გოჩაშვილი, ბურნაძე (არუთინიანი 71), საყვარელიძე, ფეხუაშვილი, ხორგუაშვილი, ხმალაძე, მაისურაძე (ლაბაძე 79)

გაფრთხილება: მაისურაძე (17), ნოზაძე (73), დათუნაიშვილი (82), ბერიანიძე (86)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)

სსფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

**პირველ** ლიგაში მეთერთმეტე ტურის ცენტრალური მატჩი მცხეთაში ჩატარდა. გათამაშების ლიდერი და გუშინდლამდე დაუმარცხებელი „დილა“ თსუ-ს სტუმარი იყო. ორივე გაზაფხულზე დაეთხოვა უმაღლეს ლიგას, ორივე უკან დაბრუნების მოსურნეა.

გორის „დილა“, რომელსაც ყოფილი თსუ-ელი ვლადიმერ ხაჩიძე წვრთნის, გაცილებით გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია და დამსახურებულადაც ლიდერობს გათამაშების ცხრილში, მაგრამ გუშინ მცხეთის „არმაზზე“ გაბლენძილი გავიდა სათამაშოდ და დაისაჯა კიდეც. ვერცხლისწყალივით მოძრავმა სტუდენტებმა ჟინიანად იბრძოლეს და დაუმარცხებელიც წამოაქციეს.

ნამდვილად ვერ იყვნენ თამაშის იშტაზე გორელები. ღუნედ ირჯებოდნენ და მანამდე არ მოინდომეს, სანამ გოლი არ გაუშვეს. თსუ-მ სტუმართა კარში პირველივე ზუსტი დარტყმა გოლად აქცია. ბექა ნოზაძემ მასპინძელთა კუთხურის შემდეგ ანგარიში თავურით გახსნა.

ეს იყო და „დილამ“ ტაიმის ბოლომდე ზედიზედ სამი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ მასპინძელთა კარში ზუსტად დარტყმა ვერ მოახერხეს ორჯერ ბურნაძემ, ერთხელაც ხმალაძემ.

მეორე ტაიმში მერაბ კოჭლაშვილის თსუ-მ უკან დაიხია და თამაში კონტრშეტევებზე ააგო. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც შეექმნათ ახალგაზრდა სტუდენტ ფორვარდებს, მაგრამ სტუმართა მეკარე სოლოლაშვილმა მომხვდურებთან გამკლავება მოახერხა.

„დილა“ შეტევას უფრო ქაოსურად ცდილობდა, ვიდრე გააზრებულად. ჰქონდა კიდეც კარგი მომენტები, მაგრამ ორჯერ გუგუნავამ იყოჩაღა, ერთხელაც კარს ხმალაძემ ვერ დაუმიზნა.

...ფანიაშვილის საფინალო სასტვენმა სტუმრებს პირველი მარცხი დააგემოვნებინა, თსუ კი გუშინდელი გამარჯვების შემდეგ წელში გაიმართა.

სამტრედია — თორი 2:1; ქობულეთი — ხობი 1:0; მილანი — დინამო 2 1:0; ლოკომოტივი 3 — მერანი 2 2:0; თსუ — დილა 1:0; ლაზიკა — ცხინვალი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 11 | 8 | 2 | 1 | 24:3 | 26 |
| მილანი | 11 | 7 | 3 | 1 | 24:6 | 24 |
| ქობულეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 11:6 | 23 |
| თსუ | 11 | 6 | 2 | 3 | 15:9 | 20 |
| ლოკომოტივი 3 | 11 | 4 | 4 | 3 | 17:15 | 16 |
| დინამო 2 | 11 | 5 | 1 | 5 | 11:11 | 16 |
| ცხინვალი | 11 | 4 | 2 | 5 | 18:16 | 14 |
| ხობი | 11 | 2 | 6 | 3 | 9:10 | 12 |
| ლაზიკა | 11 | 3 | 3 | 5 | 12:21 | 12 |
| სამტრედია | 11 | 2 | 3 | 6 | 9:18 | 9 |
| მერანი 2 | 11 | 2 | 1 | 8 | 6:20 | 7 |
| თორი | 11 | 1 | 1 | 9 | 7:28 | 4 |

საქართველოს ჩემპიონატი 13 რეგიონული ლიგა

# 10 ტური

## აღმოსავლეთი

მე-9 ტური: ვარძია — თბილისი 3:1; ოლიმპიკი — გორდა 2 2:1; ვიტ ჯორჯია 2 — ალაზანი 2:3; ზოოვეტი — აკადემია 3:2; ივერია — მესხეთი 2:1; დინამო 3 — ჯავახი 4:0; მცხეთა — ცხუმი 1:1; ლიახვი — ჭაბუკიანი 1:1; მაუდი — კრწანისი 2:0; მერანი 3 — მრეტები 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ივერია | 8 | 6 | 1 | 1 | 24:11 | 19 |
| ალაზანი | 8 | 6 | 1 | 1 | 23:10 | 19 |
| მცხეთა | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 19 |
| ზოოვეტი | 7 | 6 | 0 | 1 | 17:5 | 18 |
| მაუდი | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 16 |
| აკადემია | 8 | 4 | 2 | 2 | 14:7 | 14 |
| ვარძია | 8 | 4 | 2 | 2 | 10:5 | 14 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 8 | 3 | 4 | 1 | 21:7 | 13 |
| გორდა 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 14:8 | 11 |
| ოლიმპიკი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| ლიახვი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:16 | 10 |
| ცხუმი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:9 | 9 |
| ჭაბუკიანი | 7 | 1 | 5 | 1 | 8:6 | 8 |
| დინამო 3 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:15 | 7 |
| მესხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:14 | 7 |
| მერანი 3 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:20 | 7 |
| კრწანისი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:23 | 4 |
| მრეტები | 7 | 0 | 1 | 6 | 6:17 | 1 |
| ჯავახი | 8 | 0 | 0 | 8 | 7:47 | 0 |

## დასავლეთი

მე-10 ტური: საპოვნელა — მალაროელი 2:1; ლუკა — გზები 0:2; სალხინო — ეგრისი 3:1; ჩიხურა — ოკრიბა 3:1; საირმე — ზუგდიდი 0:1; სქური — მეტალურგი 2 2:1; კოლხეთი 2 — გურია 2 2:1; ინტერი — სულორი 0:1; ბათუმი 2 — სამეგრელო 3:1; მერცხალი — სოხუმი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 10 | 9 | 1 | 0 | 22:4 | 28 |
| სულორი | 10 | 9 | 0 | 1 | 28:9 | 27 |
| ზუგდიდი | 10 | 8 | 1 | 1 | 21:7 | 25 |
| გურია 2 | 10 | 7 | 1 | 2 | 29:8 | 22 |
| სალხინო | 10 | 7 | 0 | 3 | 17:13 | 21 |
| საპოვნელა | 10 | 5 | 3 | 2 | 26:12 | 18 |
| კოლხეთი 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 19:11 | 18 |
| მეტალურგი 2 | 10 | 5 | 2 | 3 | 14:12 | 17 |
| ინტერი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:9 | 16 |
| სქური | 10 | 5 | 1 | 4 | 17:21 | 16 |
| ეგრისი | 10 | 4 | 1 | 5 | 19:21 | 13 |
| მალაროელი | 10 | 4 | 1 | 5 | 17:19 | 13 |
| საირმე | 10 | 3 | 1 | 6 | 9:10 | 10 |
| სამეგრელო | 10 | 3 | 1 | 6 | 14:22 | 10 |
| გზები | 10 | 3 | 0 | 7 | 8:21 | 9 |
| ბათუმი 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 7:12 | 8 |
| ჩიხურა | 10 | 2 | 1 | 7 | 9:25 | 7 |
| ლუკა | 10 | 2 | 0 | 8 | 9:27 | 6 |
| სოხუმი | 10 | 1 | 2 | 7 | 8:21 | 5 |
| ოკრიბა | 10 | 0 | 0 | 10 | 3:27 | 0 |



გიო ახვლედიანის ცხელი

# იყიდეთ

ეჰ, ფული რომ მქონდეს, თბილისის „დინამოს“ ვიყიდდი.

ჩავდგებოდი და დავუწყებდი რეფორმასა და კაპიტალდაბანდებას. მწვრთნელად ვინმე კარგად ცნობილს ვიქირავებდი, გუნდს კი ორ იუგოსლაველს, ორ ზანგს და ერთ კიდევ ფრანგს, ამათ ჩვენს ბიჭებს შევუერთებდი და წავიდა შენება-მშვენებაა...

ლიგაშიც შევალწევდიო, ჩემმა მზემ და მთელი ამბავი...

ეს მშვენიერი იქნებოდა, მაგრამ... მაგრამ სტრატეგიულად? შიდა ჩემპიონატის საკითხში?

სწორედ ამიტომ მოვიდა გახსენების დრო: საქართველოს უმთავრესი პერსპექტივა მე მაინც ნაკრები მგონია. თუმცა, ახალ ვითარებაში, თუკი „დინამო“ დიდ აღმასვლას დაიწყებს, მას აუცილებლად უნდა აჰყვეს ორი-სამი გუნდი, რათა შინაურ ჩემპიონატს ხარისხი და სამაგალითო ორთაბრძოლები ემატოს. პირველ რიგში, ქუთაისის „ტორპედო“ — საქართველოს მეორე და მოქმედი ჩემპიონი.

გახსენების დრო მოვიდა-მეთქი და ეგებ ყველაზე უხეირო მაგალითი გამახსენდა მაგრამ ჩვენს ჩემპიონატს თავისი „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ სჭირდება.

რაღაც დაახლოებით ამგვარი უთქვამს თავის პირველ ქართულ პრესკონფერენციაზე „დინამოს“ მყიდველს, პიტერ ბონდს, როცა ამ კლუბის ისტორიაზე ლაპარაკობდა, რაც თავისთავად, სასიხარულო ფაქტია, რახანლა ნამდვილი პატრონი ამას ფიქრობს, რა საფიქრალია. თორემ ერთი, არ შეიძლება. არის ერთი კიევის „დინამო“ და გაიყინა — წინ ველარაფრით მიდის. „შახტიორი“ კია უკრაინის მეორე გუნდი, მაგრამ აქ მეორეზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ორ პირველზე. ორი პირველი — როგორც სქოთების ლიგაში და მერე ჯერი სხვებზეა.

თვითონ სქოთებს ყელში ამოსვლიათ ეს ამბავი და ამასწინათ იდეაც კი გაჩნდა ორი დიდი კლუბი ინგლისის ჩემპიონატს შევუერთოთო, მაგრამ ის რაც ჩრდილოელებს ყელში ამოსვლიათ, ჩვენ ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვს და ამიტომაც ვიფიქრე, ორი ევროპულად გამართული გუნდი მაინც უნდა გვყავდეს, რომ განუწყვეტლივ ეომონ ერთმანეთს და ამათ სიძლიერეს სხვანიც უნდა გამოედევნონ ფინანსურად, იგივ „ბათუმი“ და რკინიგზის გუნდი. საქართველოს ორი ჩემპიონი ჰყავს და ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, ძნელად რომ მათ ვინმე მოერიოს (თუ მოერევა და ჩვენგანაც სალამი და მილოცვა არ დაგვიანდება).

ამიტომ, ფული რომ მქონდეს ქუთაისის „ტორპედოს“ ვიყიდდი.

ავდგებოდი და დავიწყებდი...

„დინამო“ ნაყიდია უკვე, თორემ თავიდან „დინამოთი“ დავიწყე.

UNDER-17 Championship

# ფული არაფერია, სახელია ყველაფერი

**ორშაბათს** თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე 17-წლამდელთა ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება მეათე ჯგუფში. ქართველი ჭაბუკების მეტოქენი ბოსნიელი და ებრაელი თანატოლები იქნებიან. ამ სამეულში გამარჯვებული კი პირდაპირ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, რომელშიც 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას და აპრილ-მაისში დანიაში ჩატარდება.

მასპინძლები პირველ მატჩს ბოსნიელებთან ორშაბათსვე გამართავენ, ოთხშაბათს სტუმრები ითამაშებენ ერთმანეთთან, პარასკევს კი ქართველების მეტოქე ისრაელი იქნება. მატჩები 4 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, ანალოგიურ შესარჩევ ციკლს თბილისმა ორი წლის წინაც უმასპინძლა, მაგრამ ჩვენებურებმა, რომლებსაც რევაზ გაგუა წვრთნიდა, ბულგარელ, ხორვატ და ბერძენ თანატოლებთან ვერაფერი გააწყვეს.

1997 წელს საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს იმავე რევაზ გაგუას ხელმძღვანელობით და 1998 წელს 18-წლამდელებსაც, ვახტანგ კოპალეიშვილის თავკაცობით ევროპის ჩემპიონატზე ნათამაშევი აქვთ. ახლა უეფას გადაწყვეტილებით ჭაბუკთა ნაკრებების ასაკობრივი ზღვარი ერთი წლით გაიზარდა. 16-წლამდელთა ნაკრებები 17-წლამდელებით შეიცვალა, შესაბამისად „გაიზარდნენ“ 18-წლამდელებიც.

ერთი სიტყვით, ორშაბათიდან „ლოკომოტივზე“ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებს. მეტოქეებზე უკვე ვთქვით. ახლა კი იმაზე, რაც ქართველი ჭაბუკების მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა:

— ახლანდელი გუნდი იანვარში შევკრიბე და მას შემდეგ ამ შესარჩევი ციკლისთვის ვემზადებით. შეკრებაზე ვიყავით გერმანიაში, სადაც იქაურ 19-წლამდელებთან ორჯერ ვითამაშეთ და ორჯერვე დავმარცხდით. მერე აზერბაიჯანელებს ვუმასპინძლეთ და 1:0 გავიმარჯვეთ. აგვისტოში ამავე გუნდით პალანგის საერთაშორისო ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა. მოვუგეთ ლიტვის ორ გუნდს, ლატვიას, რუსეთთან კი პენალტების სერიაში დავმარცხდით და მეორე ადგილი დავიკავეთ. სწორედ ამ ტურნირის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ ნაკრებს პოტენცია საკმაოდ აქვს. განსაკუთრებით რუსეთთან მატჩი მინდა ავღნიშნო. მზადება კი სექტემბრიდან განვაახლეთ. ორი ამხანაგური მატჩიც ვითამაშეთ, მოვიგეთ და წავაგეთ.

...მწვრთნელი, ისევე როგორც ფეხბურთელი, თამაშით კმაყოფილი არ უნდა იყოს. ვნახოთ, ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა შეგვიძლია და, რა თქმა უნდა, ჯგუფში გასამარჯვებლად ვიბრძოლებთ. მით უმეტეს, შინ ვთამაშობთ და იმედია, ქომაგთა მხარდაჭერა არ დაგვაკლდება.

...ჩვენ [illegible] ფედერაციას ვთხოვეთ, რომ 16-წლამდელთა ნაკრები ცალკე გუნდი ყოფილიყო და უკეთ მომზადებისა და შეთამაშების მიზნით საქართველოს ჩემპიონატის [illegible] ლიგაში ეთამაშა. ფედერაციაც თანახმა იყო, მაგრამ კლუბების პრეზიდენტებს ეს იდეა არ მოეწონათ და წინააღმდეგნი იყვნენ, ფეხბურთელებს კლუბებიდან არ გამოვუშვებთო.

...ბოსნიისა და ისრაელის ნაკრებებზე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, თუმც ჩვენი გუნდი ნორმალურადაა მომზადებული და მათი დამარცხების იმედს არ ვკარგავ. ჯგუფში გამარჯვება რეალური მგონია. ვითვალისწინებ, რომ ეს ნაკრები თანაბრად ეთამაშა რუსეთს, რომელიც ძალიან კარგი გუნდია და არა მგონია, ბოსნიელები და ებრაელები რუსებზე ძლიერები იყვნენ. ეს ის ასაკია, როცა თითქმის ყველა ფეხბურთელის ფიზიოლოგიური მდგომარეობა ერთნაირია. თუმც შესაძლოა, მეტოქეს უფროსი ფეხბურთელებიც ჰყავდეს. მით უმეტეს, ისეთი ქვეყნის ნაკრებს, სადაც ომია. ყოფილა ასეთი შემთხვევები.

...საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები შემტევ ფეხბურთს თამაშობს. გუნდში ამჟამად ოთხი ნომინალური თავდამსხმელია და ისეთი ნახევარდამცველებიც გვყავს, რომელთაც ფორვარდად თამაშიც შეუძლიათ. შემადგენლობა თითქმის ოპტიმალურია, ერთი ეგაა, 35-ე საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელი ვასილ ლუჭაშვილი დაგვაკლდება. გუნდს მეკარის პრობლემა არ აქვს, ორნი არიან და ძირითადში ორივეს შეუძლია თამაში. პრემიებზე და საერთოდ, ფინანსურ საკითხებზე ლაპარაკი არ ყოფილა. ვფიქრობ, 16 წლის ბიჭისთვის ფულზე უფრო მნიშვნელოვანი სახელია.

**ბოგა ინასარიძე**



ჩვიდმეტწლამდელთა თავკაცი კობა ჟორჟიკაშვილი



ჩვიდმეტწლამდელთა კაპიტანი ლაშა ჭელიძე

## საქართველო

*მეკარეები: ზვიად ჩალაძე (ლოკომოტივი), კახა ჯინჭარაძე (ვიტ ჯორჯია)*

*მცველები: ზურაბ ბარაბაძე (ნორჩი დინამოელი), ანზორ კალაძე (35-ე სკოლა), ბესო მიქიაშვილი (ყაზბეგი), თემურ ლონლაძე (ივერია, ხაშური), ირაკლი ჩაჩუა (იბერია, სამტრედია), ლაშა ჭელიძე (ტორპედო, ქუთაისი)*

*ნახევარმცველები: ზაალ ელიავა (ყაზბეგი), გივი კაპანაძე (35-ე სკოლა), ზურაბ კვახაძე (ნორჩი დინამოელი), გიგა კუტივაძე (იმერეთი, ქუთაისი), გოჩა ხოჯავა (ყაზბეგი)*

*თავდამსხმელები: სანდრო იაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვალერი კაციტაძე (ნორჩი დინამოელი), გოგი ფიფია (ყაზბეგი), ამირან ყაველაშვილი (გაზაფხული, გორი), გიორგი ჭელიძე (აკადემია, თბილისი)*

***მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი*

## ისრაელი

*მეკარეები: მოშე ვაჰაბა (მაკაბი, თ-ა), ამირ ედრი (მაკაბი, ჰაიფა), ბოეარ აბედ ელ რაჰმანი (ფეთახ თიკვა), მაქსიმილიანო რაბინოვიჩი (ჰაპოელი, ფეთახ თიკვა) მცველები: ელად ოვადია, ტელ მაბი, ლიორ კოჰენი, შლომი ჰანკა (ყველა მაკაბი, ჰაიფა), ლიორ მაჰლუკუფი (ფეთახ თიკვა), არიე ბოლოვი (ჰაპოელი, ჰაიფა), იაკირ შინა (მაკაბი, თელ ავივი); ნახევარმცველები: ჟილ ვერმოუტი, რავინ ტორონტო (ორივე ჰაპოელი, ჰაიფა), შიმი იეფატი (ნეიეჰუდა), ჰენ ვატური (მაკაბი, ჰაიფა), ავირან ბარუჩიანი (ბეითარი), აბდალაჰ იაასი (მაკაბი, ჰაიფა), მოშე ბალამი (ირონი), ბენი ჟანჩი (ფეთახ თიქვა), ბარაკ ვერადი, იდან ბიტონი (ორივე მაკაბი, თელ ავივი), მაბრატ მალაკუ (ჰაპოელი, თელ ავივი), ამირ ტაბა (ნეთანია); თავდამსხმელები: ერან ლევი, აშერ ბიტა (ორივე მაკაბი, ჰაიფა), ომერ პერეცი, რან მაზალი (ორივე ჰაპოელი თელ ავივი), ოად კადოში (ფეთახ თიკვა); **მწვრთნელი:** ავრაჰამ ბაჰარი*

## ბოსნია

*ზდენკო ბაოტიჩი, დრაგან მაქსიმოვიჩი, კენან დერვიჩი, ედინ რეჯოვიჩი, ედინ ჩოლკა, ფარიკ კეჩო, ალმირ ჰალილოვიჩი, ვანია კოვაჩიჩი, ვანია ალიბეგოვიჩი, ადმირ შვრაკა, მუჰამედ ჯარკმიჩი, ადმირ დერვიში, დალიბორ მანდარიჩი, იოსიფ ჩუტუკი, ზლატან ოსმოვიჩი, სადატ შაჰინი, ბოიან იოვანოვიჩი, იოსიფ რაგუზი, ანერ ლიელიაკი*

***მწვრთნელი:** იოსიფ კატალინსკი*

# ცაში აფრენას მოცდა სჯობს

**ჩივაძემ** საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მესამე ადგილი მოუტანა. ეს მან მეორედ მოახერხა, პირველად ეროვნული გუნდის სადებიუტო გამოსვლისას ჩამოვრჩით გერმანიას და ბულგარეთს.

ქართველებმა ისევ მაგრად გაიჯახუნეს კარი და დიდი ჩავარდნის შემდეგ ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში მაღლა იწევენ.

ნაკრებმა გამარჯვების გემო გაიხსენა, ლამისაა, წაუგებელიც გახდეს. გუნდი განთავისუფლდა ინტრიგებისგან და ფეხბურთის თამაშიც დაიწყო.

ეს ყველაფერი ნაკრებში ძალისძალად დანიშნული მწვრთნელის წისქვილზე ასხამს წყალს და დღეს ბევრი ქართველი ქომაგია ერთ აზრზე — თუ არ ჩამოიყვანენ ნორმალურ, საქმის მკეთებელ უცხოელს, მაშინ მწვრთნელად ჩივაძე უნდა იყოსო...

...6 ოქტომბრის ღამე ეროვნული გუნდისთვის, ალბათ, ის ერთადერთი ბედნიერი გამონაკლისი იყო, როცა გულშემატკივარმა ბოლო წუთამდე ინერვიულა და იქომაგა. გასვლით თამაშებში ადრე ასეთი რამ არ ყოფილა. ან ვიგებდით და სანერვიულოც არაფერი იყო, ანაც მეორე ნახევრის შუაში ჩვენები დამარცხებისთვის იყვნენ განწირულნი.

თამაშის დასაწყისში გვეგონებოდათ, რუმინეთში არგენტინელები ჩასულანო. ქართველებს ბურთს ვერ ართმევდნენ მასპინძლები. მართალია, მერე და მერე კი დაცხა სტუმართა ნახევარზე, მაგრამ არც რუმინელთა კართან იგრძნობოდა სიმშვიდე.

საქართველოს ნაკრები, რომელსაც დროდადრო ხარვეზებიც ჰქონდა, არ არღვევდა სათამაშო დისციპლინას. ხიზანიშვილი თანაგუნდელებს აზღვევდა, რეხვიაშვილი და კალაძე ნიკულაეს და ილიეს გაუვნებლებაზე ზრუნავდნენ, კობიაშვილი და საჯაია ფლანგების კონტროლს ცდილობდნენ, ხოლო ჯამარაული და ცქიტიშვილი დაცვასა და ქინქლაძეს შორის საყრდენად იდგნენ.

3-5-2, ასეთი განლაგება უფრო მიესადაგება ქართველთა ბუქარესტულ სტრატეგიას, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ რუმინელთა შეტევისას სტუმრები სულ ცოტა, 8 ფეხბურთელით იცავდნენ თავს. ამას დავუმატოთ ყაველაშვილისა და იაშვილის სასარგებლო და თავდადებული მოქმედებები როგორც წინ, ასევე უკან. ამასთანავე გიორგი ქინქლაძის აქამდე არნახული ბრძოლისუნარიანობა და დავასკვნათ — კარის გაჯახუნება მართლა გვარიანი გამოგვივიდა.

„თქვე კაი ხალხო, გიორგი ქინქლაძე თუ ასე გარდაქმნიდა, ის ოხერი კაპიტნის სამკლავური მისთვის აქამდე შეგებათ“ — ხუმრობენ ქართულ საფეხბურთო წრეებში. თამაში და ბრძოლა რომ შეუძლია, ქინქლაძემ უკვე დაამტკიცა. არც სხვებს დაუზოგავთ თავი, მაგრამ ჩვენ და სხვა გულშემატკივარიც მეტ აქტიურობას მოვითხოვთ ნაკრების თითოეული წევრისგან. სასურველია, ჩვენები იყენებდნენ მეტოქის კართან შექმნილ ასპროცენტიან მომენტებს. სანატრელია, თამაშის ბოლომდე ჰყოფნიდეს ჩვენს გუნდს ძალა და სამწუხაროა, თემურ ქეცბაია ფეხბურთისთვის რომ გვიბერდება. ლობონტის ოსტატობა რომ არა, თემური ბუქარესტშიც იტყოდა სათქმელს, რომელიც რუმინულ დაცვას კარგა ხანს დაამახსოვრდებოდა.

სადაც სამართალია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ედიკ საჯაიამ დიდი სამუშაო შეასრულა. მისი საქებარი სიტყვები „სარბიელში“ ადრეც არაერთხელ დაწერილა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ საჯაიას ოსტატობის დახვეწა მოუწევს.

გასაკვირი კია, მაგრამ ბუქარესტში უშეცდომო იყო დავით გვარამაძე. მისმა სიმშვიდემ მცველებსაც თავდაჯერება შეჰმატა. მართალია, გოლი მაინც გავუშვით, მაგრამ ამაში ჩვენს მეკარეს ბრალი არ მიუძღვოდა.

რა დავასკვნათ, უკვე გვყავს გუნდი და მომავალში შეგვიძლია, წარმატებაზე ვიფიქროთ? მოდით, ცაში უცებ ნუ ავფრინდებით. დამსახურებას არც მწვრთნელებს ვუკარგავთ და არც ფეხბურთელებს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ეროვნულმა ნაკრებმა ფრთაშესხმულმა მას შემდეგ დაიწყო თამაში, რაც ჯგუფიდან გასვლის პრაქტიკული შანსი დაკარგული გვქონდა. ლიტვის შემდეგ თეორიულიც რუმინელებმა წაიღეს. ჰოდა, იყო გუნდი ყოველგვარი ზეწოლის გარეშე.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, ვინ იქნებიან ქართველთა მეტოქეები მომავალ შესარჩევ ეტაპზე. არც ის ვიცით, როგორ ითამაშებს ნაკრები ფსიქოლოგიური ტვირთით ზურგდამძიმებული. ისევ მესამე ადგილი და საპატიო კარის გაჯახუნება არავის სურს. თუ წარმატებას შეგვპირდება, იყოს ჩივაძე ნაკრების თავკაცად, მაგრამ ხომ ნაღდია, ბატონი ალექსანდრე ამის გარანტად არ დადგება. ჰოდა, ალბათ, მოგვიწევს 25 იანვრამდე ლოდინი. ევროპის ჩემპიონატის წილისყრის შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა.

**გამუჟა ძმანტალიანი**



საქართველოს ნაკრებიც ელის: ვინ დაარიგებს მათ მომავალში, ისევ ჩივაძე თუ ახალი მწვრთნელი?

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

11 ტური ანონსი

# გაატარებს ბათუმი თბილისურ მატარებელს?

დღეს საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ისტორიის კუთვნილება გახდება, თუმც წლევანდელი საფეხბურთო სეზონი ამით არ ამოიწურება. უმაღლესი ლიგის მობინადრენი ფაქტობრივად შეუსვენებლად გადაბამენ მეორე წრის მატჩებსაც.

მეთერთმეტე ტურში სხვათაგან ორი მატჩია გამოსარჩევი. „ბათუმი“ — „ლოკომოტივი“ და „მერანი“ — „კოლხეთი“. ზღვისპირეთში „ბათუმი“ რკინიგზელების შეჩერებას შეეცდება, შემადგენლობაში პრობლემებმოძალებული ავჭალელები კი „კოლხეთის“ მოუგებელი სერიის გაგრძელებას აპირებენ.

დანარჩენ მატჩთაგან საინტერესო უნდა გამოდგეს აუტსაიდერთა წყვილის, „მეტალურგ“ — „გორდას“ შეხვედრა და იმერული დერბი. ქულათა მოპოვების სურვილი მეზობლობაზე თვალებს დაახუჭინებს წყალტუბოს „სამგურალსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“, თუმცა ვინ რას გამორჩება, საკითხავია.

### ბათუმი — ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4+2=1-1 | 10:5 |
| სულ: | 8+3=2-3 | 11:7 |

ტურის ცენტრალურ მატჩს ამჯერად ბათუმი მასპინძლობს. ჯერჯერობით მეორეადგილოსანი და ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ლოკომოტივი“ ზღვისპირეთში მხოლოდ ქულის მოპოვებამ შეიძლება არც დააკმაყოფილოს, მით უმეტეს რკინიგზელებს ერთხელ უკვე უმარჯვიათ ბათუმში. ეს არც თუ ისე შორეულ წარსულში მოხდა. მეთორმეტე ეროვნულ ჩემპიონატში „ლოკომოტივმა“ 2:1 სძლია ასლან ბალაძის შეგირდებს. ამას ისიც დავუმატოთ, რომ წინა ტურში „გორდასთან“ სტუმრად ქულას დაჯერებული „ბათუმიც“ ვერ არის კარგ განწყობაზე. აშკარაა, აჭარლები რუსთავში სამი ქულის მოპოვებას გეგმავდნენ, თუმც არც იმის დავიწყება ეგების, რომ ზღვისპირეთიდან ჯერჯერობით ყველა გუნდი ხელცარიელი გამობრუნდა. ასე რომ, თუ სტატისტიკას ვენდობით, „ლოკომოტივს“ საკმაოდ უნდა გაუჭირდეს.

საინტერესო სანახავი უნდა გამოდგეს მწვრთნელთა დუელიც. ორივე გუნდის თავკაცი — ასლან ბალაძე და კახა ცხადაძე ახალბედაა.

სტუმრებს თავდამსხმელი კაიდარაშვილი არ ეყოლებათ. მასპინძელთაგან კი ყველანი ჯანზე არიან.

### ვიტ ჯორჯია — სიონი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 5+4=0-1 | 8:1 |
| სულ: | 10+5=2-3 | 12:8 |

წინა ტურში ზესტაფონის „მეტალურგის“ 2:0 დამარცხებით გულმოცემული „სიონი“ დღეს მცხეთას ეწვევა, თუმც არც მასპინძელი „ვიტ ჯორჯია“ უჩივის უხასიათობას. ვეტერინარებმა ლანჩხუთში ადგილობრივ „გურიას“ დააყარეს შავი დღე. ექვსეულში შესასვლელად მებრძოლ „ვიტ ჯორჯიას“ მოგება ჰაერივით ესაჭიროება. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, „სიონთან“ დაკარგული ქულები ძვირადაც დაუჯდეს. ამას დაუმატეთ ახალი დამრიგებელი სერგო გაბელაია, რომელმაც ბრწყინვალე დებიუტი მოიწყო და ბოლნისელთა შანსები საკმაოდ შემცირებული მოგეჩვენებათ. მით უმეტეს „სიონის“ წინააღმდეგ „არმაზზე“ გამართული ხუთი შეხვედრიდან ვეტერინარებმა ოთხჯერ დატოვეს მოედანი თავაწეულებმა.

სერგო გაბელაიას გუნდის კაპიტნის, ალეკო გოგობერიშვილის იმედი აქვს. ის მართლაც კარგ ფორმაშია, ბოლო დროს გოლების გატანასაც უხშირა და არც „სიონის“ კარის დალაშქვრაზე იტყოდა უარს. რაც შეეხებათ სტუმრებს, წინა ტურში მათგან თავი თავდასხმიდან ნახევარდაცვაში დაწეულმა შალვა ისიანმა გამოიჩინა. ვერ გეტყვით, რა პოზიციაზე ათამაშებს ამჯერად თემურ მახარაძე ისიანს, თუმც მას მაინც უნდა უფრთხოდნენ ვეტერინარები.

„ვიტ ჯორჯიას“ კვლავ ვერ დაეხმარება მეცხრე ტურში ფოთელ გელა ფანჩულიძესთან კინკლაობისთვის გაძევებული დავით დოლიძე, თუმც მისი შემცვლელის პოვნა გაბელაიას არ უნდა გაუჭირდეს. სხვები ჯანმრთელად არიან და „სიონის“ დასამარცხებლად ემზადებიან, ბოლნისელებს კი არც ერთი დისკვალიფიცირებული და რამდენიმე ტრავმირებული ჰყავთ. თუმცა თემურ მახარაძე ალბათ მაინც შეეცდება თავისი ყოფილი ქვეშევრდომების გამწარებას.

### დინამო— გურია

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 10+8=2-0 | 40:5 |
| სულ: | 19+16=2-1 | 69:10 |

ამ ორი გუნდის მდგომარეობა დღე-ღამესავით განსხვავებულია. წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ გურულებმა ქულების გარდა მწვრთნელიც დაკარგეს. სოსო ფრუიძემ „სარბიელთან“ საუბარში გუნდში არსებულ დაპირისპირებაზე გაამახვილა ყურადღება, თუმც კონკრეტული ფაქტების დასახელებისგან თავი შეიკავა.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა „დინამოში“. დინამოელებმა ბოლოს და ბოლოს გაარკვიეს ახალი მეპატრონის ვინაობა, თუმც ფოთში „კოლხეთის“ 4:0 დამარცხების მიუხედავად ჯერჯერობით მათთვის უჩვეულო მეხუთე ადგილზე იმყოფებიან.

„გურიას“ არანაირი შანსი არ აქვს „ეროვნულზე“, მითუმეტეს, გუნდი ისევ უმთავარმწვთრნელოდაა და დღევანდელ მატჩზე თავკაცობას გუნდის უფროსი გულსუნდა დუნდუა კისრულობს.

გივი ნოდიას საბრძოლო შემადგენლობა სრულ მზადყოფნაშია. შესაძლოა, ამ მატჩში დინამოელებს ტრავმის გამო დიდი ხნის უთამაშებელი ზაზა ზირაქიშვილი და ვახტანგ იაგორაშვილი დაუბრუნდნენ. გამორიცხული არ არის ასევე ტრავმირებული გიორგი მაწკავას თამაშიც, რომელიც „დინამოს“ „კოლხეთთან“ მატჩში ვერ დაეხმარა.

„გურიას“ კი დისკვალიფიკაციამოხდილი ნახევარმცველი გენადი კაციაშვილი დაუბრუნდება.

### მერანი — კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 7+4=0-3 | 11:8 |
| სულ: | 14+6=2-6 | 14:17 |

დაძაბულ თამაშს ველით ავჭალაში. „მერანმა“ ბოლო საშინაო მატჩი ნავთლუღში „შევარდენზე“ გამართა და „სამგურალს“ 4:0 სძლია, ახლა კი კვლავ მშობლიურ „სინათლეს“ უბრუნდება. წინა ტურში ავჭალელებმა ქუთაისში ჩემპიონს დიდი წინაალმდეგობა გაუწიეს, თუმც ბოლომდე ვერ გაძლეს და 2:4 დამარცხდნენ. სულიკო დავითაშვილისა და დავით ბოლქვაძის გოლებმა კი „მერანი“ იმ ერთადერთ გუნდად აქცია, მიმდინარე ჩემპიონატში „ტორპედოს“ კარში ორი გოლის გატანა რომ შეძლო, თუმც, დამეთანხმებით, ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია ოთარ გაბელიას შეგირდებისთვის.

რაც შეეხებათ კოლხებს, მათ უკვე ორი ტურია, არ მოუგიათ. თუმც „ვიტ ჯორჯიასთან“ სტუმრად ნათამაშევ ფრეს თუ წარუმატებლობად არ ჩავუთვლით, „დინამოსთან“ შინ 0:4 მარცხი აშკარად ცუდი შედეგია ფოთელთათვის.

„მერანს“ ერთ რამეში ნამდვილად არ გაუმართლა. სწორედ მათთან მატჩში უბრუნდება ზღვისპირელებს ფეხბურთით მუშა და მოუსვენარი გელა ფანჩულიძე. მოგეხსენებათ, ფანჩულიძე ერთი თამაშით იყო დისკვალიფიცირებული და სასჯელი წინა ტურში მოიხადა.

ოთარ გაბელიას პრობლემები ამით არ ამოწურულა. „მერანის“ თავკაცს დიდი ძალა მოაკლდა ნახევარდაცვის ხაზში. კერძოდ, გაბელია „ტორპედოსთან“ მატჩში გაძევებულ ზაზა კვეკვესკირსა და ამავე შეხვედრაში გაფრთხილებულ დავით ბოლქვაძეს დისკვალიფიკაციის გამო ვერ გამოიყენებს. სამაგიეროდ, უკრაინელი ლეგიონერი ანდრეი მუხინი გამოჯანმრთელდა და თუ მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს, ითამაშებს კიდეც. რაც შეეხება მერანელთა კაპიტან იოსებ დევიძეს, მისი თამაში კვლავაც საეჭვოა. მან ვარჯიში დაიწყო, მაგრამ სრულად გამოჯანმრთელებული ჯერაც არ არის.

### სამგურალი — ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 9+4=0-5 | 19:23 |
| სულ: | 17+4=0-13 | 27:45 |

წყალტუბოს „26 მაისის“ სტადიონი დღეს იმერულ დერბის უმასპინძლებს. ამჯერად „ტორპედო“ მეზობლის გამწარებას შეეცდება. წყალტუბოელები ჩემპიონატში მეტად არადამაჯერებლად გამოიყურებიან, თუმც წინა ტურში „ლოკომოტივს“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და რომ არა ერთ მომენტში მცველთა უყურადღებობა, შესაძლოა, ქულით ხელდამშვენებულნიც დაბრუნებულიყვნენ შინ. გია გიგატაძეს ამ მატჩში სასჯელმოხდილი ფრანგიშვილი და დარსაძე უბრუნდებიან. ეს ფეხბურთელები „სამგურალისთვის“ დიდი ძალაა, თუმც „ტორპედოს“ ამით ბევრი პრობლემა არ უნდა შეექმნეს. ქუთათურებს დისკვალიფიცირებული რევაზ ქემოკლიძე დააკლდებათ. დანარჩენები კი სრულ მზადყოფნაში არიან. ჩინებულ ფორმაშია უკრაინელი ანდრეი პოროშინი. მან ბოლო ორ მატჩში ოთხი გოლის გატანა შეძლო და ბომბარდირებშიც გაერია. ეჭვი არაა, ძირითად შემადგენლობაში ფეხმოკიდებული პოროშინი წარმატებულ მატჩთა სერიის გაგრძელებასა და „სამგურალის“ კარის დალაშქვრას შეეცდება. სხვაგვარად რა, „ტორპედოელთა“ მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი წყალტუბოში ქულების დაუგეგმავად დაკარგვას ვერ შეეგუება.

ახლა მასპინძლებისას არ იკითხავთ? უმაღლეს ლიგაში წელს დაბრუნებულმა „სამგურალმა“ დღემდე თითებზე დასათვლელი რაოდენობის ქულების დაგროვება შეძლო და კვლავ პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. თანაც წყალტუბოელები კვლავაც მხოლოდ შინ მოპოვებული ქულებით სულდგმულობენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერთმანეთში აქამდე გამართული 18 შეხვედრიდან ფრედ ერთადერთი, ისიც თასის ფინალი დასრულდა.

### მეტალურგი — გორდა

#### ერთმანეთს არ შეხვედრიან

ზესტაფონში ორი აუტსაიდერი დაუპირისპირდება ერთმანეთს. „მეტალურგმა“ ჯერაც ვერ გაუგო გემო გამარჯვებას, თუმც მოგებათა რაოდენობით ვერც სტუმარი „გორდა“ დაიკვეხნის. რუსთაველებს პირველ ტურში „ვიტ ჯორჯიის“ 3:2 დამარცხების შემდეგ არ მოუგიათ. ორივე გუნდს აუტსაიდერობის გარდა საერთო ისიც აქვთ, რომ ჩემპიონატის დებიუტშივე მწვრთნელები შეეცვალათ.

„მეტალურგი“ მეტოქეს უხასიათოდ ხვდება — წინა ტურში ბოლნისში 0:2 დამარცხდა, თუმც „გორდას“ უშეღავათო ბრძოლას ჰპირდება. საბრძოლველად მზად არიან რუსთაველებიც. თენგიზ კაცია ზესტაფონში კახა ალადაშვილს ვერ ათამაშებს, რომელმაც „ბათუმთან“ მატჩში მესამე გაფრთხილება მიიღო. სამაგიეროდ, ამავე შეხვედრაში ჩინებულად წარმოაჩინა თავი დავით პეტრიაშვილმა და თუ მან ასევე ითამაშა ზესტაფონშიც, „მეტალურგს“ ძალიან მცირე შანსი ექნება. კაციასაც სწორედ მისი იმედი აქვს ყველაზე მეტად.

„მეტალურგს“ დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს და „გორდას“ ბეჭებზე გაკვრას ეცდება. ვნახოთ, ვისი აჯობებს.

**კახა შალამბერიძე**



ბათუმში „ბათუმის“ მეკარე გია ჭანტურიას ალეკო კაიდარაშვილი ველარ შეაწუხებს

ბათუმი. ცენტრალური. 13 ოქტომბერი. 16.00 საათი

**ბათუმი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

მცხეთა. არმაზი. 13 ოქტომბერი. 16.00 საათი

**ვიტ ჯორჯია — სიონი**

მსაჯები: მ. მაღალურაძე (თბილისი); ბ. ზრეგვაძე (ჭიათურა), ლ. სილაგავა; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებული: დ. დოლიძე (ვიტ ჯორჯია)

თბილისი. ეროვნული. 13 ოქტომბერი. 16.00 საათი

**დინამო — გურია**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. სინათლე. 13 ოქტომბერი. 16.00 საათი

**მერანი — კოლხეთი**

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე
დისკვალიფიცირებულნი: კვეკვესკირი, ბოლქვაძე (მერანი)

წყალტუბო. 26 მაისი. 13 ოქტომბერი. 16.00 საათი

**სამგურალი — ტორპედო**

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა
დისკვალიფიცირებული: ქემოკლიძე (ტორპედო)

ზესტაფონი. ცენტრალური. 13 ოქტომბერი. 16.00 საათი

**მეტალურგი — გორდა**

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი
დისკვალიფიცირებული: კ. ალადაშვილი (გორდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 10 | 9 | 1 | 0 | 26:4 | 22 | 28 | 6 | 5 | 1 | 0 | 16:4 | 12 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 10 | 12 |
| 2 ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 21:6 | 15 | 24 | 5 | 5 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 15 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 5 | 9 |
| 3 მერანი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:15 | 2 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:14 | -7 | 7 |
| 4 ბათუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:6 | 7 | 18 | 5 | 5 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 15 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 5 დინამო | 10 | 5 | 1 | 4 | 22:10 | 12 | 16 | 4 | 2 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 7 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:6 | 3 | 9 |
| 6 ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 17:12 | 5 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 13:10 | 3 | 7 |
| 7 კოლხეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:18 | 0 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 7 | 13 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | -7 | 1 |
| 8 სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 7:17 | -10 | 11 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:8 | -8 | 1 |
| 9 სამგურალი | 10 | 2 | 1 | 7 | 7:19 | -12 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:16 | -15 | 0 |
| 10 გურია | 10 | 1 | 4 | 5 | 6:15 | -9 | 7 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:9 | -7 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 11 გორდა | 10 | 1 | 3 | 6 | 8:21 | -13 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:13 | -8 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 2 |
| 12 მეტალურგი | 10 | 0 | 3 | 7 | 3:22 | -19 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:7 | -7 | 1 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:15 | -12 | 2 |

# საქართველოს ეროვნული გუნდის

## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

**წლევანდელი ათი მატჩიდან საქართველოს ნაკრებმა 5 მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და მხოლოდ სამი წააგო, მაგრამ, უკვე იცით, მაინც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩა, რადგან სამივე წაგებული შესარჩევი ტურნირის შეხვედრები გახლდათ, მოგებულთაგან სამი და ფრედ ნათამაშევთაგან ერთი კი ამხანაგური მატჩების მონაგარი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 27.05.90 | ამ | შ | ლიტვა | 2:2 | გურული, კაჭარავა |
| 02.07.91 | ამ | ს | მოლდოვა | 4:2 | ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი |
| 02.09.92 | ამ | ს | ლიტვა | 0:1 | |
| 17.09.92 | ამ | შ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 22.12.92 | ამ | ს | კვიპროსი | 0:1 | |
| 25.05.93 | ამ | ს | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 08.02.94 | მტ | ნ | სლოვენია | 0:1 | |
| 10.02.94 | მტ | ნ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 12.02.94 | მტ | ნ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 23.02.94 | ამ | ს | ისრაელი | 0:2 | |
| 11.06.94 | ამ | ს | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 26.06.94 | ამ | ს | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 19.07.94 | ამ | შ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 07.09.94 | ეჩშ | შ | მოლდოვა | 0:1 | |
| 12.10.94 | ეჩშ | ს | ბულგარეთი | 0:1 | |
| 16.11.94 | ეჩშ | შ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 14.12.94 | ეჩშ | ს | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 29.03.95 | ეჩშ | შ | გერმანია | 0:2 | |
| 26.04.95 | ეჩშ | შ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 07.06.95 | ეჩშ | ს | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 06.09.95 | ეჩშ | ს | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 11.10.95 | ეჩშ | შ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 15.11.95 | ეჩშ | ს | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 27.03.96 | ამ | ს | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 24.04.96 | ამ | ს | რუმინეთი | 0:5 | |
| 08.05.96 | ამ | ს | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 01.09.96 | ამ | ს | ნორვეგია | 0:1 | |
| 09.10.96 | მჩშ | ს | იტალია | 0:1 | |
| 09.11.96 | მჩშ | შ | ინგლისი | 0:2 | |
| 05.12.96 | ამ | ს | ლიბანი | 2:4 | იაშვილი, კიკნაძე |
| 08.12.96 | ამ | ს | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30.03.97 | ამ | შ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 30.04.97 | მჩშ | ს | ინგლისი | 0:2 | |
| 07.06.97 | მჩშ | შ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 14.06.97 | მჩშ | ს | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 10.09.97 | მჩშ | შ | იტალია | 0:0 | |
| 24.09.97 | მჩშ | ს | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 11.10.97 | მჩშ | შ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 06.02.98 | მტ | ნ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 08.02.98 | მტ | ნ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი |
| 10.02.98 | მტ | ს | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 02.05.98 | ამ | ს | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 30.05.98 | ამ | შ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 12.08.98 | ამ | ს | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 19.08.98 | ამ | ს | უკრაინა | 0:4 | |
| 05.09.98 | ეჩშ | შ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 10.10.98 | ეჩშ | ს | ლატვია | 0:1 | |
| 14.10.98 | ეჩშ | ს | საბერძნეთი | 0:3 | |
| 18.11.98 | ამ | შ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 20.03.99 | ამ | შ | უკრაინა | 0:1 | |
| 27.03.99 | ეჩშ | შ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 28.04.99 | ეჩშ | შ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 30.05.99 | ეჩშ | ს | ნორვეგია | 0:1 | |
| 05.06.99 | ეჩშ | შ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 04.09.99 | ეჩშ | ს | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 08.09.99 | ეჩშ | შ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 09.10.99 | ეჩშ | ს | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 02.02.00 | კტ | ნ | სლოვაკეთი | 2:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 04.02.00 | კტ | ნ | რუმინეთი (2:4) | 1:1 | ქეცბაია |
| 06.02.00 | კტ | ნ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 28.03.00 | ამ | ს | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 26.04.00 | ამ | ს | სომხეთი | 0:0 | |
| 04.06.00 | ამ | ს | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 11.06.00 | ამ | ს | ესტონეთი | 0:1 | |
| 16.08.00 | ამ | ს | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 07.10.00 | მჩშ | ს | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 11.10.00 | მჩშ | ს | იტალია | 0:2 | |
| 14.02.01 | ამ | შ | უკრაინა | 0:0 | |
| 28.03.01 | მჩშ | შ | რუმინეთი | 0:2 | |
| 24.04.01 | ამ | შ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 09.05.01 | ამ | შ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 02.06.01 | მჩშ | შ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 06.06.01 | მჩშ | ს | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 15.07.01 | ამ | ს | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 01.09.01 | მჩშ | შ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, იაშვილი |
| 05.09.01 | მჩშ | შ | ლიტვა | 2:0 | იაშვილი 2 |
| 06.10.01 | მჩშ | ს | რუმინეთი | 1:1 | იაშვილი |

**სულ: 77 თამაში, 28 მოგება, 12 ფრე, 36 წაგება, ბურთები 102:105**

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის, კვიპროსის ტურნირი

| სახელი გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 2002-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | სულ თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ნემსაძე | ნ | 10.05.72 | დანდი (შოტლანდია) | 30 | 0 | 4 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 58 | 0 | 13 | 0 |
| თემურ ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) | 23 | 8 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 50 | 17 | 6 | 0 |
| გოჩა ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 25 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 50 | 6 | 3 | 0 |
| გიორგი ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 18 | 3 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 45 | 8 | 2 | 1 |
| მიხეილ ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 20 | 6 | 4 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 | 44 | 9 | 7 | 1 |
| შოთა არველაძე | თ | 22.02.73 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 16 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 42 | 15 | 0 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 14 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 8 | 1 | 0 | 0 | 36 | 1 | 4 | 0 |
| არჩილ არველაძე | თ | 22.02.73 | კიოლნი (გერმანია) | 14 | 3 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 32 | 6 | 2 | 0 |
| კახა კალაძე | მ | 22.02.78 | მილანი (იტალია) | 11 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 | 31 | 0 | 4 | 1 |
| მურთაზ შელია | მ | 25.03.69 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი | 12 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 27 | 1 | 2 | 0 |
| კახა ცხადაძე | მ | 07.09.68 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| გიორგი ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 10 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 4 | 1 |
| დავით გვარამაძე | მკ | 08.11.75 | ტორპედო | 11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 23 | 0 | 0 | 0 |
| ლევან ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 11 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 21 | 1 | 3 | 0 |
| ლევან სილაგაძე | მ | 04.08.76 | ტორპედო | 16 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 21 | 0 | 3 | 0 |
| დიმიტრი კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| გელა შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი (ბელგია) | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 3 | 0 |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21.03.69 | დინამო | 9 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დემეტრაძე | თ | 26.09.76 | რეალ სოსიედადი (ესპანეთი) | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 | 18 | 2 | 1 | 0 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | დანდი (შოტლანდია) | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 | 18 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი გახოკიძე | ნ | 09.11.77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 16 | 2 | 3 | 0 |
| აკაკი დევაძე | მკ | 28.11.71 | მერანი | 8 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 1 | 0 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | თამაში მიატოვა | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| გივი დიდავა | მ | 26.03.76 | ტორპედო | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 2 | 0 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ტომი (ტომსკი, რუსეთი) | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 4 | 0 | 0 | 12 | 6 | 1 | 0 |
| რევაზ არველაძე | ნ | 15.09.69 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 1 | 1 | 0 |
| რატი ალექსიძე | თ | 08.09.78 | ჩელსი (ინგლისი) | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 12 | 1 | 1 | 0 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო (ლატვია) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 2 | 1 | 12 | 0 | 2 | 1 |
| ზაზა რევიშვილი | მ | 23.09.68 | თამაში მიატოვა | 7 | 0 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჯანაშია | თ | 07.08.72 | ლოკომოტივი | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| გიორგი კიკნაძე | ნ | 26.04.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 1 | 0 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ნ | 30.01.80 | სკონტო (ლატვია) | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 0 | 0 |
| გელა ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| თენგიზ სიჭინავა | ნ | 15.05.72 | ბალტიკა (რუსეთი) | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 1 | 0 |
| იოსებ გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 4 | 2 | 1 |
| გოჩა გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ორიოლი (რუსეთი) | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი (ქვარ სავა, ისრაელი) | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| მამუკა წერეთელი | მ | 17.01.79 | ლიერსი (ბელგია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 13.03.79 | ტორპედო | 8 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 |
| ბესიკ ბერაძე | მ | 20.02.68 | სამგურალი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ლუდუშაური | ნ | 18.02.73 | უგუნდო | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10.11.77 | კოპენჰაგენი (დანია) | 5 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 0 | 0 |
| სევასტი თოდუა | მ | 13.05.76 | ტორპედო | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 |
| ედიკ საჯაია | მ | 16.02.81 | ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| კახა სილამონიძე | მ | 17.04.71 | სიონი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| ვალტერ გუჩუა | მ | 06.07.75 | ტორპედო | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 |
| გია გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| დავით ცომაია | ნ | 04.09.67 | უგუნდო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ | 02.06.72 | ალანია (რუსეთი) | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი კილასონია | ნ | 09.09.68 | ნეფთჩი (ბაქო, აზერბაიანი) | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12.08.75 | მერანი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ვალერი აბრამიძე | მ | 17.01.80 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| კახა კაჭარავა | თ | 19.09.66 | თამაში მიატოვა | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| ზურაბ იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ სეფაშვილი | თ | 17.02.69 | ჟენისი (ასტანა, ყაზახეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ ტუღუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად ჯელაძე | მ | 16.12.73 | ბალტიკა (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ ბიგვავა | თ | 17.01.63 | აისბახტალი (გერმანია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჭიჭველიშვილი | ნ | 23.01.75 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია ჩხაიძე | მ | 23.02.70 | ბათუმი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო (ლატვია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ლომაია | მკ | 08.08.79 | ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვლადიმერ ბურდული | ნ | 26.02.80 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გია ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | კოლხეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა ხუჯაძე | მ | 05.10.75 | ბათუმი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გივი კვარაცხელია | მ | 11.05.79 | სკონტო (ლატვია) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | უგუნდო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ჰ. კირიათ გათი (ისრაელი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მელქაძე | თ | 12.12.79 | სიენა (იტალია) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19.10.70 | კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | როსტსელმაში (რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ ასათიანი | ნ | 04.08.81 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შაშიაშვილი | მ | 01.09.79 | დინამო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური გაბისკირია | ნ | 01.09.68 | სპარტაკი (ნალჩიკი, რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი გემეზაშვილი | მ | 06.07.77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დავითნიძე | მ | 18.07.78 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ თორლაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ კაციტაძე | მ | 25.02.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ლიკ (საბერძნეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02.01.77 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან მუჯირი | ნ | 20.02.74 | მარეკი (ბულგარეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით მუჯირი | ნ | 02.01.78 | შტურმი (ავსტრია) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ნადირაძე | მ | 11.02.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა ფანცულაია | თ | 09.02.67 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სოსო ჭედია | ნ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კახა ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | დებრეცენი (უნგრეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ჩხეიძე | მკ | 29.04.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მიქაძე | მ | 13.09.73 | ცსკა (კიევი, უკრაინა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გრიგოლ ჭანტურია | მკ | 25.09.73 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით ასლანაძე | მკ | 16.11.76 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ნ | 26.02.76 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ მახვილაძე | მ | 22.07.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა ნოზაძე | ნ | 18.03.80 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით ხმელიძე | მკ | 28.04.79 | როსტსელმაში (რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| რონ ონიანი | მ | 14.01.75 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

პაატა კიდია

# ერთი კვირა კიევოსთვის



ერთ კვირას მაინც „იუვეზე“ წინ: კიევოელი ლორენცო დანას ტურინელი პაველ ნედვედს ზევიდან დასცქერის

**„ინტერის“** არგენტინელი თავკაცი ექტორ რაულ კუპერი იმედოვნებს, რომ კვირა საღამოს, უდინეში, იპოვნის იმას, რაც ლიდერობის მიუხედავად მის გუნდს აკლია — ნაპერწკლოვან თამაშს. მოგეხსენებათ, მილანელი შავ-ლურჯები ხუთ შეხვედრაში ერთი ფრითა და დანარჩენი გამარჯვებით სერია A-ს ცხრილის სათავეში არიან, ოღონდ მათი შედეგი ძირითადად ყრუ თავდაცვასა და ასე აუცილებელ იღბალზე გახლავთ დაფუძნებული. ცხადია, ლიდერობა სასიამოვნოა, მაგრამ კუპერი დასძენს:

„შედეგის გარდა, ძალიან მიყვარს, როდესაც ჩემი გუნდები კარგად თამაშობენ. ლიდერობა ლიდერობად და იმედი მაქვს, რომ თამაშის ხარისხსაც გავიუმჯობესებთ“.

ხარისხის გაუმჯობესებაში „ინტერს“ უთუოდ შეუწყობს ხელს ბრაზილიელი რონალდოსა და კრისტიან ვიერის გამოჯანმრთელება, ურუგვაელი ალვარო რეკობას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია (ყალბი პასპორტით მოღვაწეობისთვის) კი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შემცირდება.

ხოლო, მილანელთა მასპინძლებს, უდინელებს, რომელთაც სათავეში „ინტერის“ ყოფილი მწვრთნელი, ინგლისელი როი ჰოჯსონი უდგათ, სხვა პრობლემები აქვთ. კერძოდ, ჩილელი დავიდ პიცარო და ფორვარდი რობერტო მუცი დისკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო მცველი მარკო ძამბონი დაშავებულია. ამ მიზეზთა გამო არ არის გამორიცხული ჰოჯსონმა სასტარტო შემადგენლობაში არგენტინელი რობერტო სოსა ათამაშოს, თუმც მისი ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი ნამდვილად არ გახლავთ. არადა, გასულ სეზონში სოსამ 14 გოლი გაიტანა.

სხვა მხრივ კი დახეთ, რა შეიძლება მოხდეს: თუ „ინტერი“ და „უდინეზე“ ერთმანეთს თავებს შეახლიან და ქულებს დააკარგინებენ, ბოლოს ამით „კიევო“ ისარგებლებს, სერია A-ს ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერება — პატარა ვეროფის პატარა გარეუბნის უმაღლეს ლიგაში პირველადამძვრალი გუნდი თვით ლიდერობას მოიპოვებს და საამაყოდ დარჩება, რომ იყო ერთი კვირა, როდესაც იუვენტუსები და მილანები ქვედა საფეხურზე ჭირის ოფლს იწმენდდნენ, ხოლო თავად ამაყად მიუძღოდა გოლიათთა ალლუმს. ერთი სიტყვით, „კიევო“ ბრეშას იმ იმედით მიემგზავრება, რომ იქიდან ექვს ტურში ხუთი გამარჯვებით დაუბრუნდება მშობლიურ ათიათასიან სტადიონს. კონკრეტულად რისი იმედი აქვს „კიევოს“? ალბათ, საკუთარი თავისა და კიდევ იმის, რომ „ბრეშას“ თავკაცი, კარლო მაცონე თავის მოთამაშეთათვის შენიშვნების მისაცემად მოედნის კიდესთან ვერ იტრიალებს. გეხსომებათ, წინა ტურში ლომბარდიული დერბის დროს, „ატალანტას“ წინააღმდეგ, მაცონემ სრული გიჟობები ჩაიდინა. კერძოდ, როდესაც მისმა გუნდმა მსაჯის წამატებულ წუთებში ანგარიში გაათანაბრა და 3:3 გახადა, იგი ბერგამოელი ტიფოზებისთვის გამოყოფილი ტრიბუნისკენ გაიქცა, იქაურები გამოლანძღა, ხოლო შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ისე იხუმრა, რომ ბერგამოელი ქალები სულ როსკიპებად გამოიყვანა.

ოღონდ, ერთიცაა. ასე ძალიან სჭირდებათ კი, ბრეშელ ფეხბურთელებს დამრიგებლის შენიშვნები? ნუ დავივიწყებთ, რომ „ბრეშა“ ის გუნდია, რომელშიც თვით რობერტო ბაჯო თამაშობს და მეტიც, რომელმაც ახლახან „ბარსელონას“ ყოფილი კერპი, ხოსეპ გვარდიოლა იყიდა. გვარდიოლას დებიუტი სერია A-ში, როგორც ჩანს, სწორედ „კიევოსთან“ შეხვედრაში შედგება.

ტურინში კი დერბია — „სტადიო დელე ალპის“ თანამოზიარენი, „იუვენტუსი“ და „ტორინო“ ხვდებიან ერთმანეთს. ეს შეხვედრა იმითაა აღსანიშნავი, რომ „ბებერი ქალბატონი“, ჩინებული სტარტის შემდეგ რაღაც იშტაზე ველარაა — ბოლო ოთხ შეხვედრაში (ლიგიან-ჩემპიონატიანად) ერთიც ველარ მოიგო და, ძალიან საინტერესოა, დაღმასვლას განაგრძობს თუ ისევ შემობრუნდება გამარჯვებათა ქვეყნისკენ. „ტორინო“ კი ისეთი გუნდია, აი, ერთ წელიწადს, რომ სერია A-შია, მეორე წელიწადს B-ში ჩადის და მერე ისევ ზევით ადის.

ჩვენთვის საინტერესო „მილანი“ კი ამჯერად მაინცდამაინც საინტერესო აღარ უნდა იყოს, რადგან თურქი მწვრთნელი, ფათიჰ თერიმი კახა კალაძეს ძირითად შემადგენლობაში თამაშს აღარ უპირებს. როგორც „გაძეტა დელო სპორტი“ გვარწმუნებს, შავ-წითელთა ოთხკაციანი დაცვა ასეთი იქნება: კონტრა, კოსტაკურტა, ლაურსენი და მალდინი, ანუ პაოლო მალდინი ოდინდელ პოზიციას, დაცვის მარცხენა ფრთას უბრუნდება. ეს კი ის ადგილია, სადაც ბოლო დროს თერიმმა კალაძე მოსინჯა.

თუმცა, საინტერესო იქნება „მილანი“ თუ უინტერესო, „სან სიროზე“ „ვენეციის“ დამარცხება წესითა და რიგით არ უნდა გაუჭირდეს, რადგან „ვენეცია“ ხუთივე შეხვედრაში დამარცხებული გუნდი გახლავთ, რომელსაც მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი თანამდებობიდან გაუთავისუფლებს და ახლა მეკარეთა მასწავლებელი სერჯო ბუზო ხელმძღვანელობს.

სამხრეთული „ლეჩე“ ფლორენციაში ჩადის და იმედოვნებს, რომ „ფიორენტინა“ მთელი სეზონით გამოკლებული, დაშავებული ენრიკო კიეზას გარეშე გოლს ვერ გაუტანს. ანკი რა უნდა ქნას „ფიორენტინამ“, თუ გაკოტრების პირას იყო და კიეზას სანაცვლოდ ახალი თავდამსხმელის შეძენის სახსრები არ გააჩნია?

| VI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ლაციო | - | ატალანტა |
| პერუჯა | - | რომა |
| ხვალ | | |
| ბრეშა | - | კიევო |
| იუვენტუსი | - | ტორინო |
| ლეჩე | - | ფიორენტინა |
| მილანი | - | ვენეცია |
| პარმა | - | პიაჩენცა |
| უდინეზე | - | ინტერი |
| ვერონა | - | ბოლონია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| კიევო | 5 | 4 | 0 | 1 | 12:6 | 12 |
| იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:8 | 10 |
| ბოლონია | 5 | 3 | 0 | 2 | 3:3 | 9 |
| ვერონა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| პიაჩენცა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| ბრეშა | 5 | 1 | 3 | 1 | 9:8 | 6 |
| ლეჩე | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| პარმა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| ფიორენტინა | 5 | 2 | 0 | 3 | 9:11 | 6 |
| უდინეზე | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| პერუჯა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ლაციო | 5 | 0 | 4 | 1 | 1:3 | 4 |
| ატალანტა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ტორინო | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | 2 |
| ვენეცია | 5 | 0 | 0 | 5 | 2:12 | 0 |

# ინგლისი

გიგა კობახიძე

# როგორ გვის ახალი ცოცხი?

**ინგლისის** ნაკრები ბექჰემის ზუსტი დარტყმის წყალობით მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა და აწი, მომავალ მაისამდე, სვენ გორან ერიკსონის ბიჭებს მთელი ყურადღების გადატანა მშობლიურ პრემიერლიგაზე და თავის კლუბებზე შეუძლიათ.

თუმცა შიდა ჩემპიონატის გარდა სხვა ათასი ტურნირიც არსებობს. მაგალითად, ინგლისის ლიგის თასი, რომლის მესამე წრე შუა კვირაში გაიმართა და ამ თასის ამჟამინდელი მფლობელის „ლივერპულის“ მარცხით გახმაურდა. „ლივერპულელთა წაგება „გრიმსბისთან“ კვირის ყველაზე შოკისმომგვრელი შედეგი იყო, მაგრამ შაბათს ჩვენ წინააღმდეგ სულ სხვა „ლივერპული“ ითამაშებს — მენტალურადაც და პერსონალურადაც. დიდი ბრძოლა გველის, თუმცა ჩვენ ამ სეზონში კარგი სტარტი ავიღეთ და გვინდა ასევე ღირსეულად გავაგრძელოთ“ — ამბობს პრემიერლიგის ლიდერის, „ლიდს იუნაიტედის“ მეკარე ნაიჯელ მარტინი, რომლის გუნდსაც დღეს, თბილისის დროით 16 საათზე „ენფილდ როუდზე“ სტუმრობა უწევს.

ეს ტურის ცენტრალური შეხვედრაა. მართალია, ჟერარ ულიეს გუნდი დევიდ ოლირისას 5 ქულით ჩამორჩება, მერსისაიდელებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ გამართული და დღეს მოგების შემთხვევაში ცხრილში ადგილს და ხასიათს საგრძნობლად გაიუმჯობესებენ. რობი ფაულერი, ვინც სურდოს გამო „გრიმსბისთან“ ის სამარცხვინო მატჩი გამოტოვა, ამბობს: „ფეხბურთი ხომ უპირველესად თამაშია. მთავარია, „ლიდსს“ მოვუგოთ და „გრიმსბისთან“ წაგება შაბათ საღამოსვე ალარავის ეხსომება. შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ყველასთვის ისევ საშიშნი ვართ. თანაც, „ლიდსთან“ გამარჯვება კიევში წასვლის წინ ხასიათს გამოგვიკეთებს“. ფაულერს ეიმედება, რომ მაიკლ ოუენის არყოფნაში ემილ ჰესკის სწორედ ის შეუწყვილდება ძირითად შემადგენლობაში.

შაბათსვე, ოღონდ სამი საათის შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ სანდერლენდის „ლაითზე“ შეერკინება იქაურებს. დევიდ ბექჰემის ფორმის შემხედვარე ამ მატჩში ფავორიტის ძებნა საჭირო არაა, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ფერგიუსონის გუნდს „სანდერლენდთან“ სტუმრად თამაში ტრადიციულად უჭირს.

მეორეადგილოსანი „არსენალი“ კი ბრიტანეთის კუნძულის სამხრეთ სანაპიროსკენ გასწევს „საუთჰემპტონის“ დასამარცხებლად. მასპინძლებს თავიანთ ახალ „სენტ მერიზე“ ჯერ ვერ მოუგიათ და დიდი შანსია, ეს უსიამოვნო ტრადიცია კიდევ გაგრძელდეს.

ცხრილის სარდაფში ჩაძირული „ლესტერი“ ახალ მწვრთნელ დეივ ბასეტთან ერთად ჩავა დედაქალაქს და ჯერჯერობით დაუმარცხებელ „ჩელსისთან“ წარადგენს „ახალი ცოცხის“ ავი-კარგიანობას. ისე, „ჩელსი“ მართლაც არ აგებს, თუმცა შინაურ „სტემფორდ ბრიჯზე“ ვერც იგებს — ორივე გამარჯვება რანიერის გუნდმა სტუმრად მოიპოვა. არადა, გასულ სეზონში ლონდონელებს 7 თვის მანძილზე არ მოუგიათ გასვლითი შეხვედრა. ჰოდა, დედაქალაქელებს შანსი ეძლევათ მიმდინარე ჩემპიონატში პირველად გაახარონ შინაური მაყურებელი, მითუმეტეს, რომ „უიმბლდონის“ ყოფილ თავკაც ბასეტს ფაქტიური დებიუტი შუა კვირაში „ლიდსმა“ ჩაუმწარა ლიგის თასზე — იორკშირელებმა მეტოქე 6:0 დაამარცხეს.

არანაკლებ ჩაისვარა თავის პირველ მატჩში „დერბი ქაუნთის“ ახალმა ბოსმა კოლინ ტოდმა — ქინქლაძის გუნდი ჟან ტიგანას „ფულემმა“ 5:2 დაიფრინა. ახლა დერბელები „ტოტენჰემს“ ეახლებიან და ბოლო შვიდი წლის მანძილზე პირველად ითამაშებენ პრემიერლიგურ შეხვედრას ჯიმ სმიტის დარიგებების გარეშე. ეს ტურის ბოლო, საორშაბათო მატჩია და ჩემპიონატის ცხრილსაც სწორედ ამის მერე შეეხედება.




რობი კინმა (ყვითელ მაისურში) და „ლიდსმა“ შუა კვირაში „ლესტერი“ გაანადგურეს და ახლა ლიგის თასიდან დათხოვნილ „ლივერპულს“ მიუხტებიან

| IX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბოლტონი | - | ნიუკასლი |
| ჩარლტონი | - | მიდლსბრო |
| ჩელსი | - | ლესტერი |
| იფსვიჩი | - | ევერტონი |
| ლივერპული | - | ლიდსი |
| საუთჰემპტონი | - | არსენალი |
| სანდერლენდი | - | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | - | დერბი ქაუნთი |
| ხვალ | | |
| ბლექბერნი | - | ვესტ ჰემი |
| ასტონ ვილა | - | ფულემი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 7 | 5 | 2 | 0 | 11:2 | 17 |
| არსენალი | 7 | 4 | 2 | 1 | 16:5 | 14 |
| მანჩესტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 22:13 | 14 |
| ასტონ ვილა | 6 | 3 | 3 | 0 | 9:3 | 12 |
| ბოლტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:6 | 12 |
| ლივერპული | 6 | 4 | 0 | 2 | 10:7 | 12 |
| სანდერლენდი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:7 | 12 |
| ნიუკასლი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 11 |
| ჩელსი | 6 | 2 | 4 | 0 | 10:7 | 10 |
| ევერტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:10 | 10 |
| ბლექბერნი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | 9 |
| ჩარლტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ტოტენჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:13 | 8 |
| ფულემი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 |
| მიდლსბრო | 8 | 2 | 1 | 5 | 8:17 | 7 |
| საუთჰემპტონი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| იფსვიჩი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 |
| ვესტ ჰემი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | 5 |
| დერბი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | 5 |
| ლესტერი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:17 | 5 |

## გერმანია

სოლომონ გულიაშვილი



„კაიზერ ფრანცი“ ქალაქურ ჯახს არაფრად დაგიდევთ

# ფრაიბურგი ვერ იზუზაქრებს

| IX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მიუნხენი | - | ბაიერნი |
| შტუტგარტი | - | შალკე |
| კოტბუსი | - | ლევერკუზენი |
| ფრაიბურგი | - | ზანქტ პაული |
| ჰამბურგი | - | ჰერტა |
| ლაუტერნი | - | ჰანზა |
| გლადბახი | - | დორტმუნდი |
| **ხვალ** | | |
| ვერდერი | - | ნიურნბერგი |
| კიოლნი | - | ვოლფსბურგი |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 8 | 7 | 0 | 1 | 20:9 21 |
| ბაიერნი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:2 19 |
| ლევერკუზენი | 8 | 5 | 3 | 0 | 18:8 18 |
| დორტმუნდი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 16 |
| შალკე | 8 | 4 | 2 | 2 | 11:9 14 |
| შტუტგარტი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:9 12 |
| ვერდერი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 11 |
| ჰერტა | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 11 |
| მიუნხენი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:13 11 |
| კოტბუსი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:13 11 |
| გლადბახი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 9 |
| ფრაიბურგი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 8 |
| კიოლნი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 8 |
| ნიურნბერგი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:11 7 |
| ჰამბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:14 6 |
| ვოლფსბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:15 6 |
| ჰანზა | 8 | 1 | 3 | 4 | 6:13 6 |
| ზანქტ პაული | 8 | 0 | 3 | 5 | 5:13 3 |

**„ოლიმპიაშტადიონზე“** დღეს 194-ე მიუნხენური დერბი გაიმართება. „მიუნხენ 1860“ „ბაიერნს“ უმასპინძლებს. ქალაქური დერბი ყოველთვის გამორჩეულია ხოლმე, თუმცა ამჯერად ეს ტვირთი „მიუნხენს“ უფრო დაამძიმებს, ბაიერნელთათვის კი ჩვეულებრივი თამაში იქნება. აი, რას ამბობს ჩემპიონთა პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი: „ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა მიუნხენურ დაპირისპირებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჩვენთვის ეს მატჩი სხვებისგან არაფრით განსხვავდება. უნდა მოვინდომოთ და მოვიგოთ“.

„ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი კი: „დროა „კაიზერსლაუტერნს“ გადავუსწროთ, ამიტომ შაბათს აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. ნუთუ ამაში რაიმე უცნაურია?“

დღეისათვის „ბაიერნი“ მეორე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება „ლაუტერნს“, რომელმაც ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგო და წლევანდელ სეზონში პირველად წინა ტურში „ვოლფსბურგთან“ წაიფორხილა.

ოტმარ ჰიცფელდს ისევ არ ეყოლება შტეფან ეფენბერგი, მეჰმეთ შოლი, იენს იერემისი და კარსტენ იანკერი, მაგრამ დიდი ტაქტიკოსისთვის რომ ეს პრობლემა არ არის, ბოლო მატჩებმაც დაადასტურა. თანაც ჰერ ოტმარს თავდასხმაში ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი ჰავს, ვისაც გოლი გოლზე გააქვს და ალბათ „ბაიერნში“ თავის საუკეთესო სეზონს ატარებს.

დაშავებულების სიმრავლე ჰიცფელდის მოწინაალმდეგე ვერნერ ლორანტსაც აფიქრებს: „ოქტომბერი რთული თვე იქნება ჩვენთვის — ამბობს ლორანტი — „ბაიერნის“ მერე „შალკესა“ და „ლევერკუზენს“ ვხვდებით, არადა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ტრავმირებული გვყავს. აი, მაგალითად, შაბათს ერიკ მიუკლანდის, მარტინ შტრანცლის, რომან ტისისა და ახიმ პფუღერერის თამაში საეჭვოა, ვნახოთ, როგორ გადავიტანთ ამ ამბებს“.

„შტუტგარტი“ „შალკეს“ მასპინძლობს. საინტერესოა, რომ ბუნდესლიგის 31 საშინაო მატჩში „შტუტგარტს“ გელზენკირხენელებთან მხოლოდ სამჯერ წაუგია, თანაც დღეს ერთობ საეჭვოა „შალკეს“ მთავარი ნახევარმცველის, ანდრეას მიოლერის თამაში. მსოფლიოს ჩემპიონი ფეხს იტკიებს და ეგებ თავისიანებს მართლაც ვერ დაეხმაროს.

ბოლოადგილოსანი „ზანქტ პაული“ ჩვენებურთა „ფრაიბურგს“ „დრაიზამშტადიონზე“ ესტუმრება. თამაში პრინციპული იქნება. „ფრაიბურგი“ წინა ტურში ლევერკუზენში შერცხვა და დღეს საკუთარი მაყურებლის წინაშე ტალახის მოწმენდას შეეცდება, ხოლო „ზანქტ პაულის“ ჯერ მატჩიც არ მოუგია და ექვსი საფეხურით წინ მდგარ ფოლკერ ფინკეს გუნდთან გაბრძოლებას შეეცდება.

„კიკერის“ ვერსიით, „ფრაიბურგის“ სასტარტოში ქართულ სამეულს აუცილებლად ათამაშებენ, ლევან ცქიტიშვილი, შესაძლოა, საყრდენ ნახევარმცველად გაამწესონ, ლევან კობიაშვილი მარცხნივ იმოქმედებს, ალექსანდრე იაშვილი კი თავდასხმაში ტუნისელ ადელ სელიმისთან ერთად გაირჯება.

„ფრაიბურგს“ არ ეყოლება დაშავებული სებასტიან კელი, ასევე მალის ნაკრებში გამოძახებული ბუბაქარ დიარა და სუმაილა კულიბალი.

ბუნდესლიგაში ეს გუნდები ბოლოს 1997 წლის აპრილში შეხვდნენ და მაშინ „ფრაიბურგმა“ 4:0 მოიგო.

„ჰამბურგს“ „ჰერტას“ წინააღმდეგ პირველად გაუძღვება ახალი მწვრთნელი, „ტიროლიდან“ გადაბირებული ავსტრიელი კურტ იარა. მასპინძლებს დაშავებული იორგ ალბერტცი და არგენტინელი როდოლფო კარდოზო, ასევე ირანის ნაკრებში გამოძახებული მეჰდი მაჰდავიკია დააკლდება.

ბერლინის „ჰერტას“ კი დისკვალიფიცირებული ბრაზილიელი ალექს ალვეში და ტრავმირებული ნახევარმცველი შტეფან ბაინლიხი არ ეყოლება.

## ესპანეთი

გიორგი ღარჯანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სელტა მეთორმეტეს ეძებს

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სარაგოსა | - | დეპორტივო |
| სევილია | - | მალიორკა |
| ალავესი | - | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ლას პალმასი | - | ესპანიოლი |
| ბილბაო | - | ვალიადოლიდი |
| სელტა | - | ბეტისი |
| ვილიარეალი | - | მალაგა |
| ბარსელონა | - | ვალენსია |
| რაიო ვალეკანო | - | სოსიედადი |
| ოსასუნა | - | ტენერიფე |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბეტისი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:4 16 |
| ბარსელონა | 7 | 4 | 2 | 1 | 11:4 14 |
| დეპორტივო | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 14 |
| სელტა | 7 | 3 | 4 | 0 | 13:5 13 |
| ვილიარეალი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:5 13 |
| ვალენსია | 7 | 3 | 4 | 0 | 7:4 13 |
| ალავესი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 11 |
| სევილია | 7 | 3 | 2 | 2 | 12:10 11 |
| ბილბაო | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 11 |
| სარაგოსა | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 11 |
| ოსასუნა | 7 | 3 | 2 | 2 | 4:7 11 |
| ესპანიოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:13 10 |
| რეალი | 7 | 2 | 2 | 3 | 13:12 8 |
| ვალიადოლიდი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:11 8 |
| ლას პალმასი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:6 7 |
| ტენერიფე | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 7 |
| მალაგა | 7 | 1 | 3 | 3 | 8:10 6 |
| მალიორკა | 7 | 1 | 1 | 5 | 1:10 4 |
| სოსიედადი | 7 | 0 | 2 | 5 | 6:14 2 |
| რაიო | 7 | 0 | 1 | 6 | 6:14 1 |

**კვირას** „ბარსელონა“ და „ვალენსია“ უნდა შეხვდნენ. გუნდები, რომელთა შეხვედრით დაგვამახსოვრდა შარშანდელი პრიმერადივიზიონის ბოლო ტური. მაშინ რივალდომ მატჩის ბოლო წუთებში ბრწყინვალე მაკრატელა გაუტანა ვალენსიელებს, „ბარსამ“ 3:2 მოიგო, რამაც კატალონიელები ჩემპიონთა ლიგაში შეიყვანა, ხოლო თავად იმ სეზონის ლიგის ფინალისტი უეფას თასზე გადაუშვა. აი, რას ამბობს „ვალენსიას“ თავკაცი რაფაელ ბენიტესი: „შარშანდელი სეზონის უკანასკნელი მატჩი ყველა ვალენსიელს ემახსოვრება. ისე, ნუ დაივიწყებთ, „ვალენსია“ ერთ-ერთი იმ გუნდთაგანია, რომელსაც „კამპ ნოუზე“ ჩასვლა არ ეშინია“.

მოდით, ისიც ვთქვათ, რომ „ვალენსია“ 7 ტურის შემდეგ დაუმარცხებელია და ახლა მეექვსე ადგილზეა. ხოლო „ბარსელონა“ მეორეა და ორი ქულით ჩამორჩება „ბეტისს“. „ვალენსიას“ კვლავ დაუბრუნდნენ არგენტინის ნაკრებში გამოძახებული პაბლო აიმარი და რობერტო აიალა, რაც გუნდს ცხადია, კიდევ უფრო გააძლიერებს.

„ბარსელონას“ ბოლო დღეებში არავინ დაჰკლებია, როგორც ვარაუდობენ, კარლოს რექსაჩი იმავე ფეხბურთელებს ათამაშებს, ვინც ჩემპიონთა ლიგაში წინა კვირაში „ლიონი“ დაამარცხა.

ახლა „ბარსელონას“ მუდმივ მოქიშპე „რეალზეც“ ვთქვათ. ვისენტე დელ ბოსკეს გუნდი, რომელიც ახლა გათამაშების ცხრილში მისთვის უჩვეულო მეცამეტე პოზიციაზეა, დღეს მეშვიდე-ადგილოსან „ალავესს“ ესტუმრება. სტატისტიკა მოწმობს, რომ „რეალი“ სტუმრად „ალავესთან“ 47 წელია, არ დამარცხებულა.

შუა კვირაში „სამეფო კლუბის“ მიერ ქვეყნის თასზე ჩატარებული მატჩიც გავიხსენოთ. „რეალმა“ უსახელო „პლაიასი“ სტუმრად 4:0 ბევრი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დაამარცხა. მატჩის გმირი სამი გოლით გუტი გახდა, ერთიც სავიომ შეაგდო.

კლოდ მაკელელემ, მიჩელ სალგადომ და ლუიშ ფიგუმ, რომლებმაც სათასო მატჩი ტრავმის გამო გამოტოვეს, ახლა ვარჯიში განაახლეს და დღეს, ალბათ, ითამაშებენ. მოსალოდნელია, რომ მოედანზე რაულიც გავიდეს, რომელიც დელ ბოსკემ თასზე დაასვენა. ცხადია, ზინედინ ზიდანიც ითამაშებს, რომელიც 4 გოლით პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი ბომბარდირია.

„რეალის“ ძირითადი შემადგენლობიდან ჯერჯერობით აიტორ კარანკას და რობერტო კარლოსის თამაშია საეჭვო. ორივე ტრავმირებულია და ექიმები მხოლოდ მატჩის დღეს იტყვიან საბოლოო, ალბათ, უფრო უარყოფითს პასუხს. სამაგიეროდ, დაზუსტებითაა ცნობილი იმ ოთხი ფეხბურთელის ვინაობა, ვინც დღეს მოედანზე ვერ გავა. ესენი არიან: ჯერემი, ელგერა, ფლავიო კონსეისაო და ივან კამპო. სავარაუდოა, რომ ვისენტე დელ ბოსკემ ძირითად შემადგენლობაში რაულ ბრავო ათამაშოს. ამ უკანასკნელმა წამყვანი მცველების არყოფნაში უკვე ნელ-ნელა დაიმკვიდრა გუნდში ადგილი. პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „ბილბაოსთანაც“ ითამაშა და თასზე „პლიასთანაც“.

სატურნირო ვითარების გათვალისწინებით, „სელტა“ — „ბეტისსაც“ არანაკლები ინტრიგა ახლავს. „ბეტისი“ პრიმერადივიზიონის ლიდერია, ხოლო „სელტა“ ცხრილის მეოთხე საფეხურზეა. გალისიელები პრიმერადივიზიონში შინ იანვრის შემდეგ არ დამარცხებულან. „ბალაიდოსზე“ თამაში მეთორმეტე ფეხბურთელის ყოლის ტოლფასია“ — აცხადებს მათი მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი. საინტერესოა ისიც, რომ „სელტა“ ამ სეზონში ერთობ შედეგიანია, მასზე მეტი პრიმერადივიზიონში წლეულს მხოლოდ „დეპორტივომ“ გაიტანა, ხოლო „ბეტისი“ ძალიან ცოტას უშვებს, 7 ტურის შემდეგ მხოლოდ 4 ბურთი აქვს მიღებული საკუთარ კარში.

„რაიო ვალეკანო“ — „რეალ სოსიედადის“ დაპირისპირება „ბარსელონა“ — „ვალენსიასთან“ კლასით, ცხადია, ვერ მივა, თუმცა ინტრიგა და დაძაბულობა პირველ წყვილში არანაკლები იქნება. თავად განსაჯეთ, ორი ბოლოადგილოსანი შეხვდება ერთმანეთს. ჩვენთვის კი ხსენებული თამაში იმითაა საინტერესო, რომ სანსებასტიანურ კლუბში გიორგი დემეტრაძე თამაშობს.

„რეალ სოსიედადის“ უელსელი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის თქმით, მას სჯერა, რომ მისი ბიჭები საკუთარ თავში გამონახავენ საჭირო ძალას და ღირსეულად ჩაატარებენ არა მარტო მომავალ მატჩს, არამედ სეზონსაც.

ვერაფერს იტყვი, ტოშაკი ოპტიმისტი ყოფილა.



წინა სეზონის ბოლოს რივალდოს ამ მაკრატელამ „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგაში შეიყვანა, ხოლო „ვალენსია“ უეფას თასზე თამაშს დააჭირა

# ბილდმა თხარა, თხარაო...



სებასტიან დაისლერი

**მიუნხენის** „ბაიერნი" ტალანტებს მტვერსასრუტივით რომ იწოვს, ცნობილია. ჯერ კიდევ შარშანდელ ზაფხულს საუბრობდნენ ბერლინელი სებასტიან დაისლერის „ბაიერნში" გადასვლაზე, თუმცა შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა. ამჯერად კი გერმანულმა ჟურნალმა „ბილდმა" ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა და აი, რა გამოჩხრიკა. თურმე ამა წლის 17 ივლისს, „დოიჩე ბანკის" ქალაქ კონსტანცის განყოფილებაში სებასტიან დაისლერის ანგარიშზე საიდანღაც 20 მილიონი მარკა გადაირიცხა.

ფიფას წესების თანახმად ისეთი კონტრაქტების გაფორმება, რომლებიც 2002 წლის 1 ივლისიდან უნდა შევიდეს ძალაში, მომავალი წლის 1 იანვრამდე არ შეიძლება.

ჟურნალი ამტკიცებს, „ბაიერნის" მენეჯერს, ული ჰიონესსა და ფეხბურთელის აგენტ იორგ ნაიბაუერს შორის კონტრაქტი დაისლერის გადასვლაზე გაფორმებულია, გასაიდუმლოებული კი იმიტომ არის, რომ ფიფას მიერ დადგენილი წესები ირღვევაო.

აი, რას ამბობს მიუნხენური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე: „დაისლერის შეძენა ნამდვილად გვსურს, ეს ფაქტია, თუმცა მისთვის არანაირი ავანსი არ მიგვიცია, რადგან ფიფასთან კონფლიქტი არ გვჭირდება".

ცნობილია ისიც, რომ გერმანიის ჩემპიონი „ჰერტას" კიდევ 18 მილიონ მარკას მიართმევს, რადგან ფეხბურთელს კონტრაქტი 2003 წლამდე აქვს და მისი დარღვევისთვის ბერლინელებს კომპენსაცია ეკუთვნით. რა თქმა უნდა, საინტერესოა ხელფასიც — „ბაიერნში" დაისლერის წლიური ანაზღაურება 8500 ათასი მარკა იქნება.

**გაგა ხუციშვილი**

# თუ კი შენს მეგობარს დაუგვიანეს სამი თვის ხელფასი...



ანჯელო დი ლივიო

**ფლორენციული** „ფიორენტინას" გაჭირვების შესახებ ამ გუნდის გულშემატკივრებმა კარგად იციან. კლუბს ვალები დაუგროვდა, მისმა მეპატრონემ კი, ქართულად რომ ვთქვათ, ფული ჭამა და ჭამა. დარჩა „ფიორენტინა" ჰაერში გამოკიდებული, მის ფეხბურთელებს კი უფულობა ალონებთ.

ფლორენციელთა კაპიტანმა ანჯელო დი ლივიომ (რომელიც იმითაა განთქმული, რომ საკამათო ვითარებაში მსაჯთან ყოველთვის პირველი გაჩნდება) თანაგუნდელთა გულისტკივილი საჯაროდ გამოთქვა: „სამი თვეა, კუთვნილი ხელფასი არ მიგვიღია. მოთმინების ფიალა უკვე აივსო. უახლოეს მომავალში სასიკეთო ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. გაკოტრების საშიშროება დაგვემუქრება. არ მიყვარს ფულზე ლაპარაკი, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელების მდგომარეობა აუტანელია. გუნდში არიან მოთამაშეები, რომელთაც ბანკებში მრავალმილიონიანი ანგარიშები არ აქვთ. მათაც ისევე სჭირდებათ ყოველთვიური ანაზღაურება, როგორც ჩვეულებრივ მასაჟისტებს და კლუბის სხვა თანამშრომლებს".

როგორც ჩანს, თანაგუნდელებმა დი ლივიოს მიაკითხეს, კაპიტანი ხარ და ერთი-ორი სიტყვა შეგვაწიეო.

**გაგა ხუციშვილი**

# უეფას ათი ხუთიანი

**ევროპის** ჩემპიონატი 2004 წელს, მოგეხსენებათ, პორტუგალიაში გაიმართება. მანამდე კი, რალა თქმა უნდა, ნაკრებებს შესარჩევი ეტაპი ელოდებათ, რომელიც გაისად სექტემბერში დაიწყება. ამასთან დაკავშირებით უეფამ შესარჩევი ქვეჯგუფების ახალი ფორმატი გამოაქვეყნა. გადაწყდა, რომ ხუთ-ხუთი გუნდი ათ ჯგუფში განაწილდება. პირველადგილოსნები პორტუგალიაში გასამგზავრებელ საგზურებს პირდაპირ მიიღებენ. კიდევ ხუთი ფინალისტი ათ მეორეადგილოსანს შორის გამოვლინდება, ისევე როგორც ამჯერად ორმატჩიან პლეი ოფში.

მასპინძელი გუნდი ტურნირზე ავტომატურადაა დაშვებული, ხოლო ბოლო ჩემპიონს, საფრანგეთის ნაკრებს სხვათა მსგავსად, შესარჩევის გავლა მოუწევს.

კენჭისყრისას ფრანგები პირველ ნომრად იქნებიან განთესილები, დანარჩენები კი ხუთ კალათაში განაწილდებიან. განთესვისას გათვალისწინებული იქნება ევრო 2000-ისა და ახლახან დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შედეგები. კენჭისყრა 2002 წლის 25 იანვარს პორტუში შედგება.

**გაგა ხუციშვილი**



ისინი აზიაში მიდიან: ირლანდია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მოსახვედრად, 21-გოლიანი ნაილ ქუინი კი სანაკრებო რეკორდის გასაუმჯობესებლად

# ირლანდია მოხარულია: აზიას ორჯერ ეზიარება

**ირლანდიის** ფეხბურთის ასოციაციამ და ფიფამ საშაბათს ციურიხში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ ირლანდიის ეროვნული ნაკრები ერთ-ერთ აზიურ გუნდთან, როგორც ადრე იყო ნავარაუდევი, პლეი ოფის ორივე მატჩს ჩაატარებს. მწვანეკუნძულელთა შესაძლო მეტოქე კი ამათგან ამოირჩევა: არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ირანი; ყატარი, საუდის არაბეთი და უზბეკეთი.

„კარგია, ჩვენი ნაკრები ერთი მაგივრად ორ მატჩს რომ ითამაშებს — განაცხადა ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ბრენდან მენტანმა — პირველი შეხვედრა „ლენდსდაუნ როუდზე" გაიმართება, ხოლო თუ სად ჩატარდება მეორე თამაში, ჯერჯერობით უცნობია".

ირლანდიელთა აზიელი მეტოქის ვინაობა 19 ოქტომბერს გაირკვევა.

**ლუკა გეგეჭკორი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ავსტრიულ** „ტიროლს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. იოხიმ ლიოვმა ამ თანამდებობაზე კურტ იარა შეცვალა, რომელმაც თავის მხრივ სულ ახლახან გერმანული „ჰამბურგი" ჩაიბარა. ინსბრუკის „ტიროლის" ახალი თავკაცი თავის დროზე ბუნდესლიგურ „შტუტგარტსა" და „კაიზერსლაუტერნს" ხელმძღვანელობდა. მას თურქულ კლუბებში — „ფენერბახჩესა" და „ადანასფორშიც" უმუშავია. „ტიროლისა" და იოხიმ ლიოვის კონტრაქტი სამწლიანია.

**სლოვენიური** „მარიბორის" ხელმძღვანელობამ გუნდის მწვრთნელი ივო შუშაკი დაითხოვა. ხორვატი სპეციალისტის გადაყენება გუნდის ბოლოდროინდელმა უსახურმა თამაშმა გამოიწვია. „მარიბორი" ახალ თავკაცს ეძებს, ივო შუშაკი კი ჯერჯერობით უმუშევარია.

**ფრანგულმა** „ლანსმა" პრემიერლიგაში მოასპარეზე „მიდლსბროს" ფრანკ ქუენდრიუ აოხ ;ა. 23 წლის მცველი ინგლისურ კლუბს პარასკევს შეუერთდება. ამდენად, მისი განაცხადში მოხვედრა ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ მატჩში „ჩარლტონის" წინააღმდეგ ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა გამორიცხული — არა.

**შოტლანდიური** კლუბები — „დანდი" და „დანდი იუნაიტედი" ერთმანეთს ჩინელ მცველს, ფან ჟუის ეცილებიან. ფან ჟუი ამჟამად ინგლისის პირველდივიზიონელი „კრისტალ პალასის" ფეხბურთელია, თუმცა კლუბსა და მას შორის არსებული ფინანსური პრობლემების გამო ინგლისელებმა ჩინელის გაყიდვა გადაწყვიტეს. ოცდათერთმეტი წლის ფან ჟუი აზიაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. მსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩებში მისმა ბრწყინვალე თამაშმა დიდად შეუწყო ხელი ჩინელთა მოხვედრას ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე. სავარაუდოა, რომ ორი დანდური კლუბის დავას შოტლანდიის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე მყოფი, ორი ქართველის, გიორგი ნემსაძის და ზურაბ ხიზანიშვილის „დანდი" მოიგებს.

**გერმანული** „ვერდერის" ვეტერანმა ნახევარმცველმა დიტერ აილტსმა გადაწყვიტა, ბუცები კედელზე ჩამოკიდოს. ოცდათექვსმეტი წლის ფეხბურთელი ბოლო დროს ტრამვებით იყო გაწამებული. იგი ბრემენული კლუბის ღირსებას 1988 წლიდან იცავს და თავის დროზე ეროვნული ნაკრების წევრიც გახლდათ, რომელთან ერთად 1996 წელს ევროპის ჩემპიონატიც მოიგო. დიტერ აილტსი მუშაობის გაგრძელებას კვლავ „ვერდერში" აპირებს. მას გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტობა და სელექციონერული საქმიანობის დაწყება განუზრახავს.

**თურქეთის** „გალათასარაის" ნებისმიერი სახის საერთაშორისო ტრანსფერის განხორციელება აეკრძალა. ასეთი სასჯელი მას უეფამ გამოუწერა და მანამდე გაგრძელდება, სანამ თურქები „რეალ სოსიედადიდან" შეძენილი არიფ ერდემის სანაცვლოდ ესპანელებს 500 ათას დოლარს გადაუხდიან. საინტერესოა, რომ „გალამ" რამდენიმე დღის წინ მილიონ დოლარზე მეტი თურქულ „დენიზლისფორს" ჩაუთვალა ბიულენთ აკინისათვის, რომელიც ორი წლის წინ ჩაირიცხა „გალათასარაის" რიგებში.

**გერმანული** „ლევერკუზენის" კაპიტანმა, იენს ნოვოტნიმ კატეგორიულად გამორიცხა მისი „ბაიერნში" გადასვლა. „ეს თემა ჩემთვის ერთხელ და სამუდამოდ ამოწურულია, არასოდეს მქონია სურვილი მიუნხენში გადაბარგებისა. ჩემს ამჟამინდელ კლუბს მხოლოდ ერთი ალტერნატივა გააჩნია — უცხოური კლუბი" — განაცხადა ლევერკუზენელთა 27 წლის მცველმა.

**ფიფამ** საბოლოოდ დაადგინა, რომ ისრაელსა და ავსტრიას შორის 7 ოქტომბერს გასამართი შეხვედრა, რომელიც შავ ზღვაში რუსული თვითმფრინავის ჩამოვარდნის გამო გადაიდო, 27 ოქტომბერს თელ ავივში ჩატარდება. ერთი კვირის წინანდელ ტრაგედიას თელ ავივ — ნოვოსიბირსკის რეისის 76 მგზავრის სიცოცხლე შეეწირა.

# ოგბემუდიას ბედი მრუდეა

**აფრიკის** ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე „ჯულიუს ბერგერის" მოთამაშე, 20 წლის ოგბემუდია აიკონბარე ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის მდივნის განცხადებით, აიკონბარე გზაზე მდგარ შეიარაღებულ ყაჩაღებს გაურბოდა და ავარია სწორედ მაშინ მოუვიდა. ეს შემთხვევა კვირას მოხდა. ფეხბურთელმა ცოტა ხანს იცოცხლა და შემდეგ გარდაიცვალა.

გეტყვით, რომ „ჯულიუს ბერგერი" ნიგერიის მოქმედი ჩემპიონია. აიკონბარემ თავისი უკანასკნელი მატჩი სწორედ კვირას ჩაატარა. მისმა გუნდმა აფრიკის ჩემპიონთა ლიგაში კონგოს დემოკრატიულიი რესპუბლიკის კლუბი 1:0 დაამარცხა. 20 წლის ფეხბურთელი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ყოფილა ამ შეხვედრაში. საერთოდ, ის შემტევი ნახევარმცველი იყო და გოლებიც ხშირად გაჰქონდა. იმასაც ვარაუდობდნენ, რომ მალე რომელიმე ევროპულ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებდა, ხოლო შემდეგ ნიგერიის ნაკრებშიც მიიღებდა მიწვევას...

ქვეყნის სამართალდამცავები მალევე გამოეხმაურნენ მომხდარ ტრაგედიას და განაცხადეს, რომ ყველაფერს იღონებენ დამნაშავეთა დასაკავებლად.

## შვეიცარია

**სატურნირო ცხრილი**

**XV ტურის წინ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:16 | 24 |
| ლუგანო | 14 | 7 | 3 | 4 | 27:20 | 24 |
| ბაზელი | 14 | 7 | 3 | 4 | 31:25 | 24 |
| გრასჰოპერი | 14 | 7 | 2 | 5 | 33:21 | 23 |
| იანგ ბოისი | 14 | 6 | 4 | 4 | 27:21 | 22 |
| სიონი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:18 | 21 |
| აარაუ | 13 | 5 | 5 | 3 | 19:14 | 20 |
| ციურიხი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:20 | 20 |
| სენტ გალენი | 14 | 5 | 4 | 5 | 25:25 | 19 |
| ქსამაქსი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:17 | 17 |
| ლოზანა | 14 | 2 | 3 | 9 | 12:32 | 9 |
| ლუცერნი | 13 | 1 | 2 | 10 | 13:38 | 5 |

## ფინეთი

**XXX ტური**

**ჰაკა 1:1 ჯაზი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 29 | 17 | 9 | 3 | 58:16 | 60 |
| მიუპა | 30 | 16 | 9 | 5 | 44:23 | 57 |
| ტამპერე | 29 | 17 | 5 | 7 | 42:31 | 56 |
| ჰაკა | 30 | 13 | 8 | 9 | 41:27 | 47 |
| ინტერი | 30 | 14 | 4 | 12 | 41:41 | 46 |
| ატლანტისი | 29 | 10 | 9 | 10 | 38:42 | 39 |
| ვაასა | 29 | 11 | 3 | 15 | 40:48 | 36 |
| ლაჰტი | 29 | 8 | 9 | 12 | 35:42 | 33 |
| კუოპიო | 29 | 7 | 9 | 13 | 27:39 | 30 |
| ჯაზი | 30 | 6 | 10 | 14 | 30:47 | 28 |
| იოკერიტი | 29 | 7 | 6 | 16 | 29:50 | 27 |
| როვანიემი | 29 | 5 | 9 | 15 | 23:42 | 24 |

## მერკოსურის თასი

**11 ოქტომბერი**

**C ჯგუფი. IV ტური**

**ბარსელონა (ეკვადორი) 1:3 სანტოს ლაგუნა (მექსიკა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოს ლაგუნა | 4 | 4 | 0 | 0 | 13:4 | 12 |
| სპორტინგ კრისტალი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 7 |
| კანზას სიტი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:10 | 3 |
| ბარსელონა | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | 1 |

# ომის ტოლფასი სამი მშვიდობა

**კალათბურთში** ფრე დიდი იშვიათობაა, მაგრამ ევროლიგის რვა საწყისი მატჩიდან სამში გამარჯვებულის გამოსავლენად 40 წუთმა არ იკმარა. ეს 10 ოქტომბერს მოხდა, ხოლო მეორე დღეს ევროლიგაში ქართველებმაც შეაბიჯეს და ორივე მათგანის გუნდმა — ზაზა ფაჩულიას „ულქერმა“ და ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიამ“ გამარჯვებით დაიწყო.

სტამბოლში იოლად იმარჯვა თურქეთის ჩემპიონმა, რომელმაც ინგლისურ „ლონდონ თაუერზს“ დაანახა, რომ ისინი ისევე შორს არიან ევროპული ელიტისგან, როგორც მათი კუნძული — კონტინენტური ევროპისგან. მიუხედავად ძირითადი ცენტრის, ბად ელის არყოფნისა, მასპინძლებს არ გასჭირვებიათ ორივე ფარზე გაბატონება. ასიმ ფარსმა თავი გამოიდო, მისი თითქმის ყველა შეტევა ლონდონელების ფარის დალაშქვრით მთავრდებოდა. მას ხელს ფაჩულიაც აშველებდა და პირველი ნახევრის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა — 54:30 „ულქერის“ სასარგებლოდ. ინგლისელთა გვემა იმით დასრულდა, რომ მათ პირველ ტურში ყველაზე დიდი ანგარიშით წააგეს. ქართველმა კი, მიუხედავად მოედანზე გატარებული 15 წუთისა, 12 ქულის მოხვეჭა მოახერხა.

„ულქერისგან“ განსხვავებით, ბოისას გუნდმა ბევრი ოფლი ღვარა ბერძნული „პერისტერის“ დასამარცხებლად. თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და უკანასკნელ წუთებამდე გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა წინ გასვლას. პირველი ნახევარი „ოლიმპიამ“ 43:42 მოიგო. სურათი არც მესამე მეოთხედში შეცვლილა. მასპინძლებმა ბოლო ათი წუთი დაცვაში ჩინებულად ითამაშეს და ამის ხარჯზე ბერძნების სწრაფი შეტევები ალკვეთეს. ლიუბლიანელები გამარჯვებას ბენო უდრიჰს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ორი სამქულიანი ბოლოსკენ ჩააგდო. მან ჯერ 76:69 დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო ბოლო წუთზე სამქულიანით საბოლოოდ დაასამარა პერისტერელთა იმედები. ვლადიმერ ბოისას თამაშმა მხოლოდ 6 წუთით მოუწია, რომლის განმავლობაშიც ორი საჯარიმოს ჩაგდება მოახერხა.

ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მატჩი ზაგრებში გაიმართა, სადაც წინასაევროლიგო ტურნირის გამარჯვებულმა „ციბონამ“ ესპანურ „ტაუს“ უმასპინძლა. თუ კალათბურთში ჩახედულმა ხალხმა ხორვატების მიერ „პანათინაიკოსის“, „კინდერისა“ და „მაკაბის“ დამარცხება ამ მატჩების არაოფიციალურობას მიაწერა, ვიტორიელთა ძლევა უკვე ნათლად მეტყველებს „ციბონას“ სიძლიერეზე.

მაშინ, როცა ესპანელები 74:70 წინ იყვნენ, ციბონელმა რეჯი ფრიმანმა სამქულიანი ჩააგდო, რასაც სტუმართა იუგოსლავიელი ლეგიონერის, დეიან ტომაშევიჩის არასპორტული საქციელი და ტექნიკური ჯარიმა მოჰყვა. ნიკოლა პრკაჩინმა ორი საჯარიმო ზუსტად შეასრულა და ხორვატები ქულით დააწინაურა. ისინი ბოლო წამებამდე ლიდერობდნენ, მაგრამ გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო გახდა საჭირო — 83:83.

ხუთწუთეული „ტაუმ“ უკეთესად დაიწყო და წინაც გავიდა, თუმცა შუაწელში ლიდერი, 30 ქულის მომხვეჭი ელმერ ბენეტი გაუძევეს. ამით ჩინებულად ისარგებლა ამხანაგური თამაშებში სახელმოხვეჭილმა ზორან პლანინიჩმა და მისი ზუსტად შესრულებული ოთხი საჯარიმოს შემდეგ ხორვატებმა ლიდერობა დაიბრუნეს — 92:88. ამან არ გატეხა გამოცდილი ტომაშევიჩი და მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ვიტორიელები კვლავ დააწინაურა — 93:92. ზაგრებულ კლუბს მხსნელად მატეი მამიჩი მოევლინა, რომელმაც თავისი ერთადერთი სამქულიანი ბოლო წამებზე ჩააგდო და თავის გუნდს გამარჯვება დაუბევა.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა ტრევიზოში, თუმცა დაძაბულობამ კულმინაციას მხოლოდ მესამე მეოთხედში მიაღწია. „ბენეტონი“ ტრავმირებული ტაიუს იდნის გარეშე ადვილად უგებდა ესპანურ „უნიკახას“, მაგრამ მალაგელებმა ნაადრევად დაარხეინებულ იტალიელებს მესამე მეოთხედი 32:22 მოუგეს და ბოლო ათწუთეულში ნამდვილი ომი გაუმართეს.

ძირითადი დროის დამთავრებამდე 3 წუთი რჩებოდა და „ბენეტონი“ 8 ქულით იყო წინ. მომდევნო მონაკვეთი კი ესპანელებმა 5:0 მოიგეს და მასპინძლებს 3 ქულით წამოეწივნენ — 71:74. მერე რუსმა სერგეი ჩიკალკინმა მანამდე ზუსტად შესრულებული 7 საჯარიმოს შემდეგ მერვე ააცილა, რითაც „უნიკახას“ შანსი დაუტოვა და მუსტაფა სონკომ ბოლო წამზე სამქულიანით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა — 86:86. დამატებით დროში კი ესპანელებმა ვერაფერი მოუხერხეს „ბენეტონის“ უკანახაზელებს — მარსელო ნიკოლასა და სერგეი ჩიკალკინს. სწორედ ამ კალათბურთელების სამქულიანებმა გატეხა მალაგელები და მათ დასანანი მარცხი აწვნია.

დამატებითი დრო დაინიშნა ლიონშიც, სადაც „ვილერბანს“ ერთობ გაუჭირდა ათენის აეკ-თან პაექრობა. ფრანგები იან ბონატოს ძალისხმევით სამი წუთის შემდეგ 10:6 იგებდნენ, მაგრამ მასშემდეგ, რაც მიხალის კაკიუზისმა ბერძნები 16:15 დააწინაურა, ფრანგებს ძირითადი დროის ბოლო წამებამდე მდევრის როლში ყოფნა მოუხდათ. ბოლო წუთები მეტად დრამატული გამოდგა. „ბენეტონი“ მოგებას აეკელ ენდრიუ ბეტსს უნდა უმადლოდეს, რომელმაც დამთავრებამდე წუთით ადრე ორი საჯარიმო ვერ ჩააგდო და კაილ ჰილის სამქულიანის შემდეგ ფრანგები ბერძნებს 2 ქულით მიუახლოვდნენ — 70:72. ბოლო წამებზე სამქულიანის ნიშნულიდან კვლავ ჰილმა შეუტია, მაგრამ არაზუსტად. თითქოს ელინთა გამარჯვება გარდაუვალი იყო, თუმცა ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში ბეტსმა აკრძალულ ილეთს მიმართა და მატჩისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვას წამი აკლდა, როცა ნიკოლა რადულოვიჩმა საჯარიმო ნიშნულიდან ანგარიში გაათანაბრა — 72:72.

დამატებით ხუთწუთეულში ათამაშდა იქამდე ჩრდილში მყოფი ამარა სი. მან ზედიზედ 4 ქულა მიითვალა და ორჯერ ჩაჭრა ბურთი, რის შემდეგაც სტუმართა მდგომარეობა უიმედო გახადა.

ვარსკვლავთცვენა იყო ათენში, სადაც „პანათინაიკოსი“ სახელშეცვლილ „ფორტიტუდოს“ — „სკიპერს“ მასპინძლობდა. სტუმრებმა ჩინებულად დაიწყეს, გრეგორ ფუჩკამ საწყის ხუთ წუთში 7 ქულა მოიხვეჭა და თავისი გუნდი 11:7 დააწინაურა. ჟელკო ობრადოვიჩმა 215-სანტიმეტრიან იტალიელ ფორვარდს დერილ მიდლტონი დაუპირისპირა, რომელმაც მეურვეობას ჩინებულად გაართვა თავი, დეიან ბოდიროგაც ათამაშდა და სამწუთიანი მონაკვეთი „მწვანეებმა“ 13:2 მოიგეს. ამის შემდეგ მასპინძლებმა გაილაღეს, ისინი მეტოქეს სათოფეზეც არ უშვებდნენ, ბრწყინვალედ ირჯებოდა ბოდიროგა-მულაომეროვიჩის ტანდემი. იტალიელებს მატჩის გადარჩენის იმედი მაშინ გაუჩნდათ, როცა ბოლო მეოთხედში ჩვეულად ათამაშდა ფუჩკა და ჯონ კელესტენდმა ზუსტი სამიანით სხვაობა ათ ქულამდე შეამცირა. მაგრამ ხუთი პერსონალურის გამო სტუმრებს ბაზილე, ევტიმოვი და მენეგინი გამოაკლდათ და ნათელი გახდა, რომ „სკიპერი“ ამ თამაშში ვერაფერს გახდებოდა.

საკალათბურთო ზეიმი პერმსაც ეწვია, სადაც რუსეთის ჩემპიონატში ცსკას ჰეგემონიის დამამხობელი „ურალ გრეიტი“ პეზაროს „სკავოლინის“ დაუხვდა და ევროელიტაში გამოჩენა გამარჯვებით აღნიშნა. თუმცა თამაშის პირველ ნახევარში ამას ვერავინ იტყოდა. იტალიელები პირველ მეოთხედში ყველაფერში სჯობნიდნენ რუსებს და იგი ჯოზეფ ბლერის მეოხებით 29:18 მოიგეს. მეორე ათწუთეულში რუსები გონს მოეგნენ და თამაში ოდნავ გამოასწორეს. მატჩის მეორე ნახევარი პერმელებმა ოთხქულიანი ჩამორჩენით დაიწყეს, მაგრამ შემდეგ ბელარუსი დაინეკოს შემჩერებელი მოედანზე არავინ მოიძებნა. სწორედ მისი და მიხაილ მიხაილოვის დამსახურებაა, პერმში ენით გამოუთქმელმა სიხარულმა რომ დაისადგურა.

მოძმეთა წარმატება ვერ გაიმეორა ვარსკვლავებით დახუნძლულმა ცსკამ, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა, უსწრაფეს პოორტეზელებს ანგარიშში დასწეოდა. როჯერ ესტელერი ის კალათბურთელია, რომელმაც არმიელებს სისხლი გაუშრო. იგი მაშინ გამოილებდა-ხოლმე „ოქროს ხელს“, როცა რუსები პოელებს მიუახლოვდებოდნენ. მანამდე კი ჩრდილოელებს ძმები პიეტრუსები აბითურებდნენ, რომელთაც როდ სელერსიც სწყალობდა და სტუმრებს მატჩის შემობრუნების შანსიც კი არ ჰქონიათ. რუსების ნაქებ როი როჯერსსაც ბავშვივით უმკლავდებოდნენ ფეხმარდი ფრანგები და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს — 91:83.

ორმა ესპანურმა გრანდმა — „რეალმა“ და „ბარსელონამ“ სტუმრად იმარჯვა. თუ მადრიდელებმა იუგოსლავიური „ბუდუჩნოსტი“ პირველივე მეოთხედში დაჩოქეს და მოპოვებული უპირატესობა შემდეგაც შეინარჩუნეს, კატალონიელებმა „სკაილაინერზის“ გატეხვა მხოლოდ ბოლო მეოთხედში მოახერხეს.

გაიმარჯვა ევროლიგის ერთადერთმა ებრაულმა კლუბმა, სუპროლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა, თელ ავივის „მაკაბიმ“, რომელმაც ლეგიონერების — სლოვენიელი არიელ მაკდონალდისა და თურქი ჰუსეინ ბეშოქის წყალობით ადვილად მოუგრიხა ხელები ბერლინურ „ალბას“.

მეტად დაძაბული და საინტერესო მატჩი გაიმართა სლოვენიის ქალაქ ნოვო მესტოში, კრკა-სა და ხორვატულ „ზადარს“ შორის. მასპინძლებმა თავიდანვე იგდეს ხელთ უპირატესობა და პირველი მეოთხედის შემდეგ 28:19 დაწინაურდნენ. სლოვენიელები არც მერე შეჩერებულან და როცა მესამე მეოთხედში ანგარიში 60:40 გახდა, მასპინძელთა დამარცხებას, ცხადია, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

ლიუბლიანას „სლოვანიდან“ კრკაში წლეულს გადაბარგებული იაკა ლაკოვიჩი, რომელმაც ამ მატჩში 31 ქულა მიითვალა, ხორვატია უკანახაზელების დიდებულმა გარჯამ დაჩრდილა. ჩინებულად ათამაშდნენ სტუმართა მწვრთნელის ვაჟი მარკო პოპოვიჩი და რობინსონი, რომლებმაც ჯამში 48 ქულა დააგროვეს. მაყურებელი მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე აღელდა, როცა ანგარიში გათანაბრდა — 81:81. მაგრამ ნოვომესტოელები არ დაბნეულან და ლაკოვიჩის სამქულიანის შემდეგ, როცა დამთავრებამდე წუთნახევარი რჩებოდა, წინ გავიდნენ — 89:87. მასპინძლებს გარჯა წყალში ინიანგ ოდუკმა ჩაუყარა, რომელმაც მაშინ დაუფარა მატე სკელინს, როცა მას „ზადარის“ ფარის დალაშქვრაში თითქოს ხელს აღარავინ უშლიდა. ამას დავორ მარცელიჩის ქულებიც მოჰყვა და ნოვო მესტოში მწუხარება გამეფდა.

**ირაკლი ბერტაია**



ბუდუჩნოსტი — რეალი. პეტარ არსიჩი რეალელ რაულ ლოპესს უფარებს

REUTERS

Euroleague

## ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური 10-11 ოქტომბერი**

### A ჯგუფი

**შარლერუა 53:71 შლიონსკი**

შარლერუა: ელისი (4), როუვი (12), დესი, ჯეროში (16), ვან დე ვონდელი, ჰიუგინსი (5), სტასი (8), პოტერი (6), ენგელანტი (2)

შლიონსკი: ვინსონი (2), ბიგუსი (1), ალანოვიჩი (2), ჰოკინსი (6), ზიელინსკი (7), ვიეკოვრა (2), ადომაიტისი (8), ფეტისოვი (15), ადამეკი, ენიკისი (17), ტომჩიკი (11)

**ბენეტონი 98:94 უნიკახა**

(ძირითადი დრო 86:86)

ბენეტონი: ნიკოლა (16), სტოიჩი (13), პიტისი (1), მარკონატო (9), ბულერი (4), ჩიკალკინი (21), ნახბარი (8), გარბახოსა (26)

უნიკახა: როდრიგესი, ფილიპი (17), აბრამსი (14), ვასკესი (13), კაბესასი (8), გუროვიჩი (24), კორნგაა (6), ვეისი (2), სონკო (10)

**ოლიმპიაკოსი 87:72 ეფესი**

ოლიმპიაკოსი: იელიჩი (4), პაპალუკასი (2), პაპანიკოლაუ (4), სავრასენკო (15), რიზაშე (13), ფორდი (28), ტომიჩი (2), ნიკაგბატსე, ფორესტი (17), დე მიგელი (2)

ეფესი: ბრაუნი (16), ონანი (15), შტომბერგასი (2), ვექილოღლუ (3), თუნჩერი (6), ილმაზი, ოქური (17), პეკერი (3), კამბალა (10)

**მაკაბი 82:70 ალბა**

მაკაბი: ჰენფელდი (2), ბრისკერი, შარფი (3), ჰაფმანი (12), პარკერი (12), შელეფი (6), ბურშტეინი (8), ჰალპერინი, საფარი (6), ჯუიჩიჩი (2), მაკდონალდი (18), ბეშოქი (13)

ალბა: როდლი (7), ი. ლუტკე (7), შულცე (2), პეშიჩი (6), ფელპსი (3), ოზთურქი, ზიდეკი (20), ალექსისი (17), ტორვარტი (8), პაპიჩი, დემირელი

### B ჯგუფი

**ულქერი 107:64 ლონდონ თაუერზი**

ულქერი: ლოლისი (10), ფარსი (28), აბი (9), შტელმახერსი (6), გოლიოვიჩი (5), ერდენაი (9), აჩიკი (4), გონლუმი (6), ფაჩულია (15 წუთი, 12 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ილდირიმი (14), გიულერი (4)

ლონდონ თაუერზი: ბეიკერი, ჩუნგი, ვაიტი (14), ტომიჩი, შენრი (4), მაიერსი (12), პიკი, ბარნსი (4), კენტი (15), რობინსი (13)

**კინდერი 90:54 ჟალგირისი**

კინდერი: ჯინობილი (20), აბიო (12), ბეჩიროვიჩი (8), ფროზინი (5), ანდერსენი, რიგოდო (9), გრიფინი (10), სმოდიში (3), ბარლერა (4), იარიჩი (19)

ჟალგირისი: გინევიჩუსი (3), ხიენიაკი (12), ვუდბერი (19), აინჯი (6), სალენგა (10), მარჩულიონისი (2), სლანინა (2), მასიულისი, იურკუნასი

**სკაილაინერზი 74:88 ბარსელონა**

სკაილაინერზი: სტანესკუ (16), დიარა, ნიურბერგერი (1), გორეე (20), ვინტერმანტელი, როლერი (11), ოსტინი (20), ნ. ლუტკე, ლოხმანჩუკი (6)

ბარსელონა: როდრიგესი (4), ალსამორა (8), დე ლა ფუენტე (18), ეკონომუ (13), ოკულაია (19), დიგბე (8), ნავარო (2), ვან დერ შარი (4), იასიკევიჩუსი (7), კარნიშოვასი (5)

**ოლიმპია 81:74 პერისტერი**

ოლიმპია: ველში (28), გოლემაცი (11), ილიევსკი (7), ბოისა (6 წუთი, 2 ქულა), მოდრიჩი, ბ. უდრიჰი (9), ავლოჯობი (2), მუეძინოვიჩი (9), ჰუკიჩი (5), ნიჩევიჩი (8)

პერისტერი: დინკინსი (14), პელეკანოსი, ხიარკოსი (5), პაპაზოპულოსი, ვოიჩიკი (27), ცარცარისი (10), კარტერი (6), ანდერსენი (12)

### C ჯგუფი

**კრკა 91:94 ზადარი**

კრკა: ანზულოვიჩი, გნიდიჩი (5), სკელინი (13), ლაკოვიჩი (31), იელესიევიჩი (4), დევისონი (6), გრუმი (16), დრობნიაკი, ჩაპინი, სამანიჩი (16)

ზადარი: პოპოვიჩი (24), რობინსონი (24), პერინჩიჩი (1), მარცელიჩი (24), რუჟიჩი (6), ოდუკი (15), გრგატი

**ბუდუჩნოსტი 72:82 რეალი**

ბუდუჩნოსტი: არსიჩი (4), სმილიანიჩი (2), რადონიჩი (5), რაკოჩევიჩი (6), დრაგან ვუკჩევიჩი (2), რადუნოვიჩი (10), კუზმანოვიჩი (17), ჩაბარკაპა (9), იევტრატიევიჩი (13), პეიჩინოვიჩი (4)

რეალი: ა. ანგულო (9), სტრიკლენდი (10), ჯორჯევიჩი (13), ლ. ანგულო (1), დუშან ვუკჩევიჩი (15), ტაბაკი (6), ერეროსი (10), ტარლაჩი (14), ლოპესი (4), იტურბე

**პო ორტეზი 91:83 ცსკა**

პო ორტეზი: ფოტუ (3), ლუკოვსკი (17), ზ. პიეტრუსი (10), ტ. გადუ (3), ესტელერი (30), დ. გადუ, ფ. პიეტრუსი (10), დიაგი (3), მილინგი (2), სელერსი (13)

ცსკა: მაკენტსი (10), ალექსეევი (2), თურქჯანი (10), გირიჩეკი (32), პაშუტინი (20), როჯერსი (2), მიგლინიეკსი, დომანი (2), პეტრენკო (5)

**პანათინაიკოსი 81:70 სკიპერი**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (7), სიუტისი (7), როჯერსი (11), მულაომეროვიჩი (11), ბოდიროგა (18), დ. მიდლტონი (12), ქუთლუაი (1), ალბანო (12), პაპადოპულოსი (2)

სკიპერი: კელესტენდი (3), ბაზილე (9), პოლუტა, ფუჩკა (19), ევტიმოვი (6), მენეგინი (14), მილიჩი (2), მილოსერდოვი, გალანდა (9), სავიჩი (8)

### D ჯგუფი

**ურალ გრეიტი 99:88 სკავოლინი**

ურალ გრეიტი: პანოვი (8), კარასიოვი (10), შეიკო, ვაიშვილა, მიხაილოვი (19), პეგუშინი (14), ავლეევი (15), დაინეკო (29), პეტრაიტისი (4)

სკავოლინი: ბერიჩი (17), ბუკერი (9), გიგენა (5), ძანელი, ლ. მიდლტონი (6), ტრაინა (3), ტუშეკი (16), მაჯოლი (2), ბლერი (30)

**ვილერბანი 86:84 აეკ**

(ძირითადი დრო 72:72)

ვილერბანი: რადულოვიჩი (12), სი (5), ადემანსა (2), ანტონიადისი (2), ბონატო (6), მრაზეკი (12), ფირიჩი, ჰილი (22), ნეესი (8), ჰოფმანი, მაკგი (5), ფრიგუ (12)

აეკ: ჰოლდენი (15), პანტელიადისი (2), ზისისი, კომაზეცი (4), ხაძისი (17), კიკილიასი, დიკუდისი (13), ბილბა (6), ბეტსი (9), კაკიუზისი (16)

**ციბონა 96:95 ტაუ**

(ძირითადი დრო 83:83)

ციბონა: კუში, პრკაჩინი (8), ბოუმენი (21), პლანინიჩი (14), მაჩე (16), მამიჩი (7), ფრიმენი (23), ჯიდიჩი, ოკუნსკი (7)

ტაუ: სკოლა, ნოჩიონი (3), ბენეტი (30), ფორესტი (15), ვიდალი (4), ტიმინსკასი (6), ტომაშევიჩი (28), ობერტო (9), კორჩიანი

**პარტიზანი 86:77 ოსტენდე**

პარტიზანი: შჩეპანოვიჩი (16), ჟივკოვიჩი, ოსტოიჩი (4), სტანოევიჩი (17), მატერიჩი (8), გლინტიჩი (8), კრსტიჩი (2), ვუიანიჩი (17), ჩანაკი (6), ავდალოვიჩი (8)

ოსტენდე: მაიორი, ვან პაასენი (10), ბეგინი (11), ჩიზმიჩი (5), გედრაიტისი (5), ბიგსი (21), ელიოტი (9), პრაშკევიჩიუსი (16)

NBA. საგამოფენო მატჩი



მაიამელ ედი ჰაუსს (მარცხნივ) მილუოკელი რეი ალენი შეაკვდა

# ჯორდანს არ ებოდიშებიან სტეფანია ხისტობს

11 ოქტომბერი

**მაიამი 92:89 მილუოკი**

**მაიამი: დევისი (11), ჰაუსი (4), გილი (2), გრანტი (10 ქულა, 18 მოხსნა), მურნინგი (9); მეკი (19), მარქსი (13), ჯეიმსი (10), სტეფანია (14 წუთი, 7 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ბაფორდი (7), ლემფლი**

**მილუოკი: კასელი (21), ალენი (20), ტომასი (9), შემი (4), პრჟიბილა (2); კუფი (11), ალსტონი (8), რიდი (7), ფოსტერი (5), ჯონსონი (2), პოუპი**

თანაშტატელ „ორლანდო მეჯიქთან" მარცხის შემდეგ „მაიამი ჰითი" შინ დაუხვდა აღმოსავლეთის ვიცე ჩემპიონ „მილუოკი ბაქსს" და წააქცია. „მაიამის" ქართველმა ახალწვეულმა ვლადიმერ სტეფანიამ ამ შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა და ამჯერად გაცილებით უკეთ გაისარჯა. ვოვამ ცოტ-ცოტა ყველაფერი მოაგროვა და რაც მთავარია, მილუოკელთა კალათს გაცილებით ზუსტად შეუტია, ვიდრე „ორლანდოსას": თამაშიდან ექვსი სროლიდან სამი ჩააგდო, ორი საჯარიმოდან ერთი და ჯამში შვიდ ქულას მოუყარა თავი. ჩვენებური უცილობლად მეტს მოიხვეჭდა, დაცვაში თავი რომ არ გამოედო და 14 წუთში ექვსი პერსონალური არ მიეღო. ისე კი, სხვა რა უნდა ექნა, „ჰითის" სახელოვანი თავკაცი პატ რაილი შეგირდებს დაცვით თამაშს უქადაგებს და მათგან ხისტად გარჯას მოითხოვს. იმისთვის, ვინც დაცვაში უვიცია, რაილის გუნდში ადგილი არ მოინახება.

„მაიამი ჰითი" არც „სიეტლია" და არც „ნიუ ჯერსი". თუ სტეფანიას წინა ორი გუნდის თორმეტკაცა შემადგენლობაში მოხვედრა არ უჭირდა, აქ ეს ცოტა გაუძნელდება. „ჰითის" სათადარიგოთა სკამზე დამკვიდრებას ბევრი ყოჩაღი ჯეელი ცდილობს და საგამოფენო თამაშებში თავს არ ზოგავს. აგერ სტეფანიას კონკურენტმა შონ მაქსმა „მილუოკის" 25 წუთში 13 ქულა ჩაუგდო და 8 ბურთი მოუხსნა. არც ერნესტ ბრაუნი დაგვავიწყდეს, რომლის ტრავმაც სტეფანიას „მაიამიში" გადასვლის უშუალო მიზეზია. ბრაუნი ორიოდ თვეს ტრავმას უწამლებს, მერე კი ვინ იცის...

ისე, ეს თამაში არცთუ ურიგო სანახაობა გამოდგა. საგამოფენო მატჩი კი იყო, მაგრამ მეტოქეებმა კარგად გააწვალეს ერთმანეთი. „ჰითმა" 56:42 აჯობა მეტოქეს მოხსნებში და ძირითადად ამის წყალობით იმარჯვა.

იმ დროს, როდესაც სტეფანია პატ რაილისთვის თავის მოწონებას ცდილობდა, მთელი ამერიკის თვალი და ყური დეტროიტისკენ იყო მიპყრობილი, სადაც კალათბურთში დაბრუნებული მაიკლ ჯორდანი „ვაშინგტონის" 23-ნომრიანი მაისურით მაყურებელს პირველად დაენახა.

11 ოქტომბერს „ვაშინგტონ ვიზარდსი" „დეტროიტ პისტონზს" სტუმრობდა. ჯორდანი თავიდან უარს ამბობდა თამაშზე და ეს სახალხოდაც თქვა. მაგრამ რომ გაიგო, მისი ხილვის მსურველ დეტროიტელებს პირთამდე გაევსოთ 22076-კაციანი „ობურნ ჰილზი", ხალხი აღარ გააწბილა და თანხმობა ბრძანა. თავად დარბაზის მფლობელთ კი ადრევე უნუგეშებიათ ბილეთების შეშფოთებული პატრონები, აქაოდა თუ მაიკლმა ამ მატჩში არ ითამაშა, ბილეთებს რეგულარული ჩემპიონატის იმ ორი შეხვედრის საშვებში გაგიცვლით, რომლებშიც ჩვენი „პისტონზი" „ვიზარდსს" უმასპინძლებსო. არადა, იმ ორი მატჩის ყველა ბილეთი ხომ რა ხანია, გაყიდულია.

ერთი სიტყვით, ჯორდანის უთამაშებლობა არ იქნებოდა და მაიკლმაც რამდენიმე წუთით მოედანზე შესვლა გადაწყვიტა, თუმც ზედ მატჩის წინ მწვრთნელ დუგ კოლინზისთვის უთხოვია, თამაშის იშტაზე მოვედი და პირველ ტაიმში ნუ გამომცვლიო.

ჯორდანმაც ითამაშა, მაგრამ ვაი, ამ თამაშს. იგი აშკარად დამძიმებულია და ისე ყოჩაღად ველარ დარბის, ამიტომაც კოლინზმა ჩვეული მსროლელის ამპლუის ნაცვლად ფრთად გაამწესა. მაიკლმა საშინლად დაიწყო, ორი იოლი სროლა გააფუჭა და ერთხელაც არ ჩაუტენია. ერთხელ თანაგუნდელმა კურტნი ალექსანდერმა ბურთი კალათთან აუგდო, დაიჭირე და ჩატენეო, მაგრამ ჯორდანმა ბურთი ხელში ვერ მოიგდო.

მეორე მეოთხედში მაიკლი ცოტა მოყოჩაღდა და რამდენიმე ბურთიც ჩააგდო (სულ რვა ქულა მოუგროვდა), მაგრამ დაცვაში მოიკოჭლა და „დეტროიტის" ფეხმარდმა უკანახაზელმა ჯერი სტექჰაუზმა და მისმა შემცვლელმა ჯონ ბერიმ სულ ბდღვირი აღინეს. ტაიმის ბოლოს ჯორდანმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა და იქიდან აღარც ამდგარა. თუმცა სანამ დაჯდებოდა, მეორე მეოთხედის ის მონაკვეთი „დეტროიტმა" სამარცხვინოდ, 23:7 მოუგო „ვაშინგტონს".

„არავინ აპირებს მასთან მობოდიშებას. რა მნიშვნელობა აქვს, იგი 38 წლისაა თუ 58-ის. იქნებ მას დღეს დღესასწაულის მოწყობა უნდოდა, მაგრამ ჩვენ უფრო ვიზეიმეთ" — თქვა ნამატჩევს ჯორდანის ერთ-ერთმა „ამწიოკებელმა", ჯონ ბერიმ. ამ ჯეელმა, რომელიც ლეგენდარულ რიკ ბერის შვილად ერგება, ხოლო ვლადიმერ სტეფანიას ყოფილ თანაგუნდელს, ბრენტ ბერის — ძმად, ჯორდანის გუნდს 13 ქულა ჩაუგდო, აქედან უმეტესობა პირადად მაიკლის წინააღმდეგ თამაშში მოაგროვა. მისმა თანაგუნდელმა ჯერი სტექჰაუზმა 30 ქულა გაიღო და „დეტროიტს" არ გასჭირვებია „ვაშინგტონის" დაჩოქება.

**ირაკლი ფირცხილი**

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# გამარჯვებულთა შოკი და ფავორიტთა კოშმარი

11 ოქტომბერი

**სან ხოსე 4:3 ტამპა (1:0 1:2 2:1)**

**1:0 დამფუსი 8(1), 1:1 რიჩადსი 22(2), 1:2 სენტ ლუისი 29(1), 2:2 ნოლანი 38(1), 3:2 სელიანე 42(1), 4:2 დამფუსი 59(2), 4:3 მოდინი 59(1)**

**ნიუ ჯერსი 4:6 აილენდერსი (2:1 0:2 2:3)**

**0:1 ოკუანი 4(1), 1:1 არნოტი 7(1), 2:1 სიკორა 14(1), 2:2 იაშინი 25(2), 2:3 პერიში 28(6), 3:3 არნოტი 45(2), 3:4 ბეიტსი 50(2), 3:5 პერიში 54(7), 4:5 სიკორა 57(2), 4:6 პერიში 60(8)**

**სენტ ლუისი 5:6 ლოს ანჯელესი (3:1 1:1 1:4)**

**1:0 ტკაჩუკი 1(1), 2:0 დემიტრა 6(3), 2:1 ჰაინცი 7(2), 3:1 იანგი 17(1), 3:2 პალფი 25(2), 4:2 იანგი 33(2), 4:3 დედმარში 45(1), 4:4 ბუკბერგერი 48(1), 5:4 ხავანოვი 50(1), 5:5 მიურეი 52(2), 5:6 ჰაინცი 60(3)**

**ედმონტონი 5:3 კოლორადო (1:0 1:1 3:2)**

**1:0 ფერგიუსონი 15(1), 1:1 ნიემინენი 24(1), 2:1 კარტერი 33(2), 2:2 საკიკი 44(3), 2:3 შეიდუკი 51(2), 3:3 ჰეხტი 52(1), 4:3 რ. სმიტი 53(3), 5:3 გრინი 57(1)**

**ნეშვილი 1:0 კალგარი (1:0 0:0 0:0)**

**1:0 ორტაგი 10(1)**

**ჩიკაგო 3:0 ფინიქსი (0:0 1:0 2:0)**

**1:0 ამონტე 30(1), 2:0 სალივანი 60(2), 3:0 კარპოვცევი 60(1)**

**კაროლინა 2:3 ტორონტო (1:1 1:1 0:1)**

**0:1 კორსონი 16(1), 1:1 ბატალია 14(1), 2:1 კაპანენი 35(3), 2:2 სუნდინი 36(3), 2:3 ჰოგლუნდი 55(2)**

**დალასი 1:4 ვანკუვერი (0:1 0:0 1:3)**

**0:1 კლუტი 2(2), 1:1 ნუინდაიკი 48(2), 1:2 კლეტი 53(3), 1:3 კუკი 53(1), 1:4 ნესლუნდი 60(2)**

აილენდერსი რეგულარული ჩემპიონატის ლიდერია, ხოლო მისი ფორვარდი მარკ პერიში პირველობის საუკეთესო მეგოლე. ასეთი რამ ვინმეს ტურნირის დაწყებამდე რომ ეთქვა, ნიუიორკელთა ყველაზე ოპტიმისტ ქომაგსაც კი გაეცინებოდა.. გუნდი ზაფხულში გაძლიერდა და, რა თქმა უნდა, გარკვეული ძვრები მოსალოდნელი იყო, მაგრამ ამას ვერავინ წარმოიდგენდა.

სტუმრად ზედიზედ სამი მოგების შემდეგ „კუნძულელებს" ამჯერად მკაცრი გამომცდელი ელოდათ თასის ფინალისტ ნიუ ჯერსის სახით. მას შემდეგ, რაც პირველ მატჩში ვაშინგტონთან შერცხვნენ, „ეშმაკებს" ძალიან სურდათ, საშინაო შეხვედრაში მაინც მოეგოთ ქომაგთა გულები და პირველივე წუთებიდან შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ გოლი მაინც მათ კარში გავიდა. უმცირესობაში ყოფნისას მცველმა ბრაიან რაფალსკიმ მოედნის შუაგულში ამაოდ სცადა მეტოქის მოტყუება, შაიბაც დაკარგა და ვერც ადრიან ოკუანს დაეწია, რომელმაც ზუსტად ცხრიანში შეაგდო. „ეშმაკები" ვერც ამან დააბნია. უფრო უმატეს ტემპს და მე-14 წუთისთვის წინაც გავიდნენ. ორივე შაიბა, ისევე როგორც მომდევნო ორიც, ელიაში — არნოტი (2+2) — სიკორას სამეულმა მიითვალა, რომელმაც, სხვა თანაგუნდელებისგან განსხვავებით, საუცხოოდ ჩაატარა თამაში პირველი მესამედის დასრულებამდე. მასპინძლებს არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მომენტები წყალს გაატანეს. მიუხედავად ამისა, მათი უპირატესობა აშკარა იყო და რაც მერე მოხდა, ყველამ დიდ მოულოდნელობად აღიქვა. ისე, აილენდერსმა წინა, პიტსბურგთან შეხვედრაშიც დაამტკიცა, რომ არნახულად გაუტეხელი გახდა და მეტოქის შეცდომებისა და გაუმართლებელი ჯარიმების გამოყენებაც ჩინებულად ძალუძს, მაგრამ, როგორც ჩანს, ნიუ ჯერსიმ ეს აინუნშიც არ ჩააგდო და დაისაჯა კიდეც... მასპინძლებმა რატომღაც ზედიზედ ორჯერ დაარღვიეს თამაშის წესები შეტევის დროს, ტერნერ სტივენსონმა კი მთლად სულელური ჯარიმა მიიღო მეკარესთან უხეშობის გამო. აილენდერსმა ორჯერვე გამოიყენა რიცხვმრავლობა. ჯერ ხანგძლივი შეტევის შემდეგ ალექსეი იაშინმა იხეირა დამატებაზე, მერე კი სწრაფი ფლანგური კომბინაცია პერიშმა დააგვირგვინა, რომელმაც ოსტატურად დაახვედრა შაიბას ყვანჯი. რას აკეთებდნენ ამ დროს ნიუ ჯერსის სახელგანთქმული უკანახაზელები? აი, რა არის საკითხავი. მათ შემდგომშიც არაერთი შეცდომა დაუშვეს და თავად სკოტ სტივენსიც ძალიან სცოდავდა. მეორე შესვენებამდე ნიუ ჯერსიმ ვერა და ვერ ააწყო თამაში გაუთავებელი ჯარიმების გამო და მხოლოდ ბოლო მესამედშიღა გააქტიურდა. 45-ე წუთზე მეკარე გრანტ სნოუმ ჯეისონ არნოტის იოლად ასაღებ დარტყმას ვერაფერი მოუხერხა და ინიციატივა კვლავ მასპინძლებმა იგდეს ხელთ, მაგრამ კვლავ საკუთარ თავშეუკავებლობას ემსხვერპლნენ. ორივე მომდევნო შაიბა სტუმრებმა მაშინ შეაგდეს, როდესაც დაჯარიმებული მეტოქეები ყინულზე ის-ის იყო, ბრუნდებოდნენ. განსაკუთრებით საინტერესო პერიშის მეორე შაიბა გამოდგა, რომელიც შეუპოვარმა ფორვარდმა თავად შექმნა — ჯერ დაარტყა, მერე კი დაამატა.

მასპინძლებს იმედი კიდევ მაშინ მიეცათ, როდესაც არნოტის სამეულის თავბრუდამხვევი კომბინაციის შემდეგ პეტერ სიკორამ გაიტანა, მაგრამ ბოლო წუთზე თავად მანვე დაარღვია წესები (ამ მომენტისთვის მასპინძლებმა მეკარე მეექვსე მოთამაშეზე შეცვალეს) და პერიშსაც ჰეთ თრიქის შესრულების შანსი მიეცა.

მატჩის შემდეგ ტრიუმფატორები (მათ შორის შეხვედრის მთავარი გმირი პერიში) გაოცებულნი იყვნენ. „შოკი — აი, სიტყვა, რომელიც ზედმიწევნით გამოხატავს ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას. ვერც მე და ვერც ჩემი პარტნიორები ვერ წარმოვიდგენდით, რომ ასე კარგად დავიწყებდით სეზონს" — თქვა მეგოლეთა ახალგამომცხვარმა ლიდერმა, რომელსაც 4 თამაშში 8(!) შაიბა მოუგროვდა და თავის სახელოვან თანაკლუბელ მაიკ ბოსის ადარებენ. აილენდერსი კი უკვე შევიდა ისტორიაში როგორც პირველი გუნდი, რომელმაც ჩემპიონატის სტარტზე სტუმრად ოთხი თამაში მოიგო.

ეს დღე საერთოდ კოშმარული გამოდგა გრანდებისთვის. მატჩები სენტ ლუისმა, კოლორადომ და დალასმაც წააგეს. პირველმა საკუთარ თავს უნდა დააბრალოს ყველაფერი. მას თამაშიც საკუთარი კარნახით მიჰყავდა და ანგარიშიც. სეზონში პირველად გამოჩენილმა სკოტ იანგმა წამყვანი სამეული ნამდვილად გააძლიერა. მისი, დუგ უეიტის (1+1) და კეიტ ტკაჩუკის ძალისხმევით გატანილი სამი გოლის ხარჯზე სენტ ლუისი ორი პერიოდის შემდეგ 4:2 იგებდა, მაგრამ ბოლო მესამედში შეყოვნება გუნდს ძვირად დაუჯდა. ბევრი რამ გადაწყვიტა ლოსანჯელესელთა ბოლო ორმა გოლმა. 50-ე წუთზე მცველმა ალექსანდრ ხავანოვმა შორეული დარტყმით კვლავ დააწინაურა მასპინძლები და იმის მაგივრად, რომ მატჩის მიწურულს მათ გაეორმაგებინათ ყურადღება, „ბლუზმენებმა" საოცარი გულგრილობა გამოიჩინეს. ნაქებმა სენტ ლუისის მცველებმა ჯერ გლენ მიურეის მისცეს დამატების საშუალება, შემდეგ კი რიჩ პილონი შეცდა ბოლო წუთზე საკუთარ ზონაში და სწრაფი კომბინაციის შემდეგ სტივ ჰაინცემ სტუმრებს ორი ქულა შესძინა. დარჩენილ წამებში სენტ ლუისს შეეძლო, თავი ეხსნა, მაგრამ ტკაჩუკმა ცარიელ კუთხეში ვერ შეაგდო.

დალასმა ასევე საკუთარ მოედანზე ვერაფერი მოუხერხა ვანკუვერის მეკარე დან კლუტიეს. ტეხასელებმა ექსპერიმენტს მიმართეს, პირველ სამეულში ორი ცენტრფორვარდი, მაიკ მოდანო და პიერ ტარჯონი გაამწესეს. ორმა ოსტატმა უმალ გამონახა საერთო ენა და მოდანოს არაერთხელ შეეძლო პარტნიორის დახმარებით გამორჩევა, მაგრამ ერთხელაც ვერ მოატყუა კლუტიე. კარგი შანსები ტარჯონსაც ჰქონდა, მაგრამ მეკარე შეუვალი იყო. თავად ვანკუვერმა თავისი შანსები მაქსიმალურად გამოიყენა და მესამე პერიოდში 31 წამში გატანილი ორი გოლით უზრუნველყო მოგება. მცველმა მატიას ოლუნდმა კი სამი პასი მიითვალა.

მეოთხე ფავორიტმა კოლორადომ სტუმრად წააგო ედმონტონთან. შედარებით თანაბარი ბრძოლის ბედი რაიან სმიტის ერთობ საეჭვო გოლმა გადაწყვიტა. თავად სმიტმა ყველაფერი ჩინებულად შეასრულა, მაგრამ ამ მომენტში მას კარისკენ გზა მაიკ კომრიმ გაუკვალა, რომელმაც აშკარად წესების დარღვევით შეაჩერა მეტოქის მცველი. ედმონტონმა ზედიზედ მესამედ მოიგო. ჩემპიონმა კი პირველი მარცხი იწვნია.

ჩიკაგომ თავისი სამი გოლიდან ორი ფინიქსს ბოლო წუთზე დაცარიელებულ კარში შეუგდო, როდესაც „კოიოტებმა" მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს. ვლადიმერ ორტაგის ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა ნეშვილში გამართული მეკარეების, იქაური დანჰემის (26 მოგერიება და მე-9 შატაუტი) და კალგარელი რომან ტურეკის შესანიშნავი დუელის ბედი, ხოლო კაროლინაში სახელოვან მეკარე ტომ ბარასოს დებიუტი ტორონტოს ლიდერმა მატს სუნდინმა გააუფერულა, რომელმაც ჯერ თავად გაიტანა, შემდეგ კარს უკან მდგომმა ჩინებული პასით იონას ჰოგლუნდი აზეირა.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ფოტო

დალასი — ვანკუვერი. მეკარე დან კლუტიე შიბასაც გაუმკლავდა და დალასელ ბრენდან მოროუსაც



ირაკლი მეძმარიაშვილი და ბიძინა გეგიძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე

# საოცრება: მორაგბეებს სტადიონები ასარჩევად აქვთ

## საქართველოს ევროპა და აფრიკა ნახავს

**გუშინ** სპორტის დეპარტამენტის დარბაზში რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ საქართველოს ნაკრების მომავალ მატჩებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია მოაწყო. ძირითადი თემა ნოემბერში საფრანგეთის და სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებებთან ტესტ-მატჩების გამართვა იყო. რაგბის კავშირს პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე, პრესმდივანი გია კუბლაშვილი და რაგბის განვითარების მენეჯერი გია ჭუმბურიძე წარმოადგენდნენ. მათ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილიც უმშვენებდა გვერდს.

მცირედი შესავლის შემდეგ შეხვედრის ორგანიზატორები ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხის გასაცემად მოემზადნენ.

**ბიძინა გეგიძე:**

— საფრანგეთის ნაკრებს 11 ნოემბერს ვუმასპინძლებთ, ერთი კვირის თავზე, 18 ნოემბერს კი სამხრეთაფრიკელებს ვეთამაშებით. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ასეთი დონის მატჩები თბილისში ჯერ არ გამართულა.

ფრანგები საკმაოდ სერიოზულად ემზადებიან, მათ უკვე გამოგზავნეს იმ მორაგბეებს წინასწარი სია, რომლებიც ჩვენ დაგვიპირისპირდებიან. უნდა გითხრათ, რომ ძალიან ძლიერი მოთამაშეები არიან. მართალია, ორივე ტესტ-მატჩია, მაგრამ აქ დამარცხება მტკივნეულად აღიქმება, თანაც ისეთ გუნდებისთვის, როგორიც საფრანგეთი და სამხრეთ აფრიკა არიან. თუ მოვიგეთ, ეს მათი დიდი მინუსი იქნება, ჩვენთვის კი — ძალიან დიდი პლუსი. თვითონ ის ფაქტი, რომ ამ ორმა ბობოლა სარაგბო ქვეყანამ ჩვენთან გაჯიბრების სურვილი გამოთქვა, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

თავიდან აფრიკელები ფრთხილობდნენ, ახლაც აგზავნიან ფაქსებს, სადაც გვეკითხებიან, უსაფრთხოა თუ არა საქართველოში ჩამოსვლაო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველანაირად დავარწმუნეთ ისინი, რომ არანაირი პრობლემები არ შეექმნებათ. ასე რომ, ნოემბერში თბილისი ორ დიდ მატჩს უმასპინძლებს.

— რომელ სტადიონზე გაიმართება მატჩები, ჯერ არ გადაგვიწყვეტია. არის ორი ვარიანტი — ეროვნული და „ლოკომოტივის" სტადიონები. ვფიქრობ, რომ „ლოკომოტივის" სპორტული არენა ყველა მსურველს ვერ დაიტევს, ამიტომ უფრო რეალურად ეროვნული სტადიონის კანდიდატურა განიხილება. ჯერ არ არის ცნობილი მატჩის დაწყების ზუსტი დრო. ტელეტრანსლაციის უფლების მოპოვებას ერთ-ერთი ევროპული ტელეკომპანია ეშურება. ჩვენ გვქონდა მოლაპარაკებები მის უფროსობასთან და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამ ორი მატჩის ტრანსლირებას პირდაპირ ეთერში სწორედ ის კომპანია მოახდენს. მისი დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებ. როდესაც ორივე მხარის ინტერესებს შევათანხმებთ, მატჩის დაწყების ზუსტი დროც მაშინ გახდება ცნობილი.

— მინდა მივმართო ფირმებს და სხვადასხვა ბიზნესმენებს: თუ ისინი თავიანთ სარეკლამო დაფებს და აბრებს მოედნის გარშემო განათავსებენ, მშვენიერ თვითრეკლამას გაიკეთებენ, რადგან მატჩები ევროპის რამდენიმე ქვეყანაში და სამხრეთ აფრიკაში გადაიცემა.

— აფრიკელებმაც და ფრანგებმაც შეგვატყობინეს თავიანთი პირობები. მათ რომ გავეცანით, საპასუხო წერილი ვაფრინეთ, სადაც მითითებული იყო ის სასტუმროები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ წამოყენებულ პირობებს. ისინი ითხოვენ სასტუმროებს, სადაც იქნება აუზი, საუნა, სატრენაჟორო დარბაზი. არის კიდევ რამდენიმე დეტალი. მაგალითად, განსაზღვრული რაოდენობის ერთ და ოროთახიანი ნომრები.

— მატჩების ორგანიზებას დაახლოებით ასი ათასი ლარი სჭირდება. ჩვენი საკმაოდ მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, ვფიქრობ, მოვიძიებთ თანხებს საიმისოდ, რომ სტუმრებს ღირსეულად ვუმასპინძლოთ. სპორტის დეპარტამენტის დახმარების იმედიც გვაქვს.

**ირაკლი მეძმარიაშვილი:**

— მე დავპირდი ბიძინა გეგიძეს, რომ დეპარტამენტის ბიუჯეტიდან ათი პროცენტი რაგბის მოხმარდებოდა, მაგრამ ახლა ეს არ ხერხდება. თუ რა მიზეზით, ეს იმ ხალხს ჰკითხეთ, რომლებმაც ბიუჯეტი დაგვიმტკიცეს. სანამ ამ საკითხს არაკომპეტენტური პიროვნებები აგვარებენ, სპორტს არაფერი ეშველება. დავიღალე ფინანსთა სამინისტროში ამდენი ახსნა-განმარტებებით. გაყინული თვალებით მიყურებენ, მე მგონი, ტვინიც გაყინული აქვთ. ახლო მომავლისთვის ვემზადები საკმაოდ სერიოზული გამოსვლისთვის, რის შემდეგაც შეიძლება სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე ჩემი დარჩენა-არდარჩენის საკითხიც დადგეს.

**გია ჭუმბურიძე:**

— ფრანგებმა ყველა სასურველ მორაგბეს მოუყარეს თავი. გუნდში არიან ფრანგული რაგბის მომავალი ვარსკვლავები — ჟან ბულო და ნიკოლა რაფო. ჩვენ კი შერკინების ნახევარმცველ, ირაკლი აბუსერიძეს და უკანახაზელ ვასილ აბაშიძეს მოვისაკლისებთ, რაც სერიოზული ძალაა. ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი 22-კაციანი შემადგენლობას ამ დღეებში დაასახელებს.

**ბაჩო სვანიძე**

ექვსი ერის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

# მწვანე რევოლუცია

კარდიფი. 13 ოქტომბერი

**უელსი — ირლანდია**

**ირლანდიელებს** კარდიფში 1983 წლის მერე აღარ წაუგიათ. ეგებ ვინმეს წარმოუდგენლადაც მოეჩვენოს, მაგრამ „სამყურები" უელსურ მიწაზე უკვე 18 წელია, დაუმარცხებელნი არიან. უორენ გეტლანდის შეგირდები ამ სერიის გაგრძელებას დღეს ეცდებიან ექვსი ერის ჩემპიონატის გადადებულ მატჩში.

გაზაფხულზე ირლანდიის თამაშის შემხედვარე იფიქრებდი, შემოდგომაზე დიდი სლემის შესრულებას ინგლისთან ერთად ისიც შეეცდებაო. თუმცა სექტემბერში შოტლანდიამ კიტ ვუდისა და მისი თანაგუნდელების ამბიციებს ცივი წყალი გადაასხა (32:10).

ამის გათვალისწინებით, საკვირველია ევროპის თასის პირველი ორი ტურის შედეგები. ირლანდიურმა გუნდებმა ექვსი მატჩიდან ექვსივე მოიგეს. შესაბამისად „მწვანეები" დღეს მაინც ფავორიტებად ითვლებიან. ოღონდ გეტლანდს არც ის ავიწყდება, რომ შარშან დუბლინში სწორედ „წითელმა ეშმაკუნებმა" იმარჯვეს.

ისე, დღევანდელ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან ირლანდიის შოტლანდიაში მარცხმა ექვსი ერის ჩემპიონი ფაქტობრივად უკვე გამოავლინა. „სამყურებმა" ინგლისს რომ გადაასწრონ, დარჩენილი ორივე მატჩი ასტრონომიული სხვაობით უნდა მოიგონ, თორემ სხვანაირად „ვარდის თხუთმეტეულს" ბურთების შეფარდებით ვერ აჯობებენ. ასე რომ, დღეს მხოლოდ ტურნირის მეორეადგილოსნის ვინაობა ირკვევა.

უელსელთა მთავარმა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ განახლების გზა აირჩია. ახალზელანდიელმა სპეციალისტმა 21 წლის ჯეიმი რობინსონის ძირითადში დასახელებით ბევრი გააკვირვა. კარდიფელი იაპონიაში ტურნეს დროს ახლდა თავისი ქვეყნის ნაკრებს და ორჯერ სათადარიგოობამაც მოუწია. დღეს კი იგი თავისზე 15 წლით უფროს ალან ბეიტმენს შეუწყვილდება სამმოთხედელთა ცენტრში.

მსოფლიოს ყველაზე შედეგიანი მორაგბის ნილ ჯენკინსის ტრავმის გამო ჰენრიმ გარე ნახევარმცველობა სტივენ ჯონსს დაავალა, რომელმაც ევროპის თასის მეორე ტურში „ჰლანეჰელის" მაისურათი „პერპინიანის" წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ნაკრებს დაუბრუნდნენ კრის ვაიატი და ენდი მური, უფრო სწორად, შერკინების მეორე ხაზში ისევ ის წყვილი იდგება, რომელიც დერეფნებისას შეუდარებელია.

ჰენრისთან შედარებით ნამდვილი რევოლუცია მოახდინა გუნდში გეტლანდმა. „მწვანეებში" მხოლოდ შერკინების პირველი ხაზი (ჰეიესი — ვუდი — კლოჰესი) დარჩა უცვლელი მარიფილდის მარცხის შემდეგ. არადა, ერთხანს სკოტებთან სახედაზიანებული ჯონ ჰეიესის თამაში სათუო იყო, მაგრამ იგი ევროპის თასზე გამოჩნდა და დღესაც აუცილებლად ითამაშებს.



უელსელი ჯეიმი რობინსონი ძირითადში პირველად მოხვდა

გეტლანდმა ძირითადიდან ამოყარა მერფი, ოგარა, ძმები ისტერბები, დოუსონი და დევიდსონი. „ისეთი მორაგბეები შევარჩიეთ, რომლებიც ახლა არიან საუკეთესო ფორმაში" — განაცხადა „სამყურების" დამრიგებელმა. ჰოდა, მაიკ გოლვეი და დევიდ ჰემფრიზიც ისევ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდნენ.

გოლვეის პირველი კეპი 1991 წელს მოუხვეჭია საფრანგეთთან, ორი წლის შემდეგ კი ბრიტანელი ლომების ახალზელანდიურ ტურნეში მონაწილეობდა. იგი ამ გაზაფხულზე მიივიწყეს, მაგრამ შოტლანდიაში შერცხვენის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნეს და რუმინეთთან კაპიტნის სამკლავურიც გაუკეთეს.

ჰემფრიზმა კი „ოლსტერს" „უოსპსთან" შეხვედრაში 37 ქულა მოუტანა, რაც შეუმჩნეველი არც უნდა დარჩენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ რონან ოგარა მარიფილდში ყველაზე უხეიროდ ნამდვილად არ გარჯილა. გი ისტერბის ადგილს მანსტერელი პიტერ სტრინგერი დაიკავებს. შერკინების მესამე ხაზში სხვადასხვა დროს ბრიტანელი ლომების შემადგენლობაში მყოფი დევიდ უოლესი და ერიკ მილერი დაბრუნდნენ. ერთი სიტყვით, გეტლანდმა მაგრად გადაასხვაფერა ირლანდიის შემადგენლობა, ხოლო ამით რა შედეგს მიიღებს, დღეს გამოჩნდება კარდიფის „მილენიუმზე".

**გაგი გურული**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**უელსი:** მორგანი, ჯეიმსი, რობინსონი, ბეიტმენი, ს. უილიამსი, ჯონსი, ჰოუელი; ი. ტომასი, მაკბრაიდი, იანგი, ვაიატი, მური, ჩერვისი, სინკინსონი, ლუისი

სათადარიგონი: ბ. უილიამსი, ენტონი, კ. ქვინელი, გ. ტომასი, კუპერი, ჰენსონი, რ. უილიამსი

**ირლანდია:** დემპსი, ჰორგანი, მეგზი, ოდრისკოლი, ჰიკი, ჰემფრიზი, სტრინგერი; კლოჰესი, ვუდი, ჰეიესი, გოლვეი, ოკელი, მილერი, ფოლი, უოლესი

სათადარიგონი: შიანი, ბირნი, ბრენანი, დოუსონი, გ. ისტერბი, ოგარა, მალინზი

ტანვარჯიში

# მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ტანმოვარჯიშეებს ხაზინამ უგანა

**ბოლო** დროს დამკვიდრებული იძულებითი ტრადიციის თანახმად, ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენლები უმეტესწილად, თუ საერთოდ არა, საერთაშორისო ტურნირებზე უარს აცხადებენ, რათა იქ გასამგზავრებლად საჭირო ხარჯების დაზოგვით, კონტინენტისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მაინც მოახერხონ წასვლა. ამიტომაც გვაქვს სავალალო შედეგები და საერთაშორისო ტურნირებზე გამოუწრთობი სპორტსმენი უმთავრეს შეჯიბრებებზე წარმატებას ვეღარ აღწევს.

ახლა კი საქმე ისეა, რომ ტანვარჯიშის ეროვნულ ფედერაციას ერთბაშად ორი თავსატეხი გასჩენია. რამდენიმე დღეში მხატვრულ და სპორტულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატები იწყება. მათში მონაწილეობის აუცილებლობაზე აღარაფერს ვიტყვით. ერთი კი ფაქტია — სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ხაზინისგან ფულს ვერ იღებს. არადა, როგორც ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტმა ომარ ლონლაძემ გვითხრა, ამ საქმისთვის ქვეყნის პრეზიდენტის ფონდიდან თანხაცაა გამოყოფილი, მაგრამ რად გინდა, მისი ათვისება შეუძლებელია. ისე, ასეთი ფარატინა ქაღალდები რომ ერთად ავკინძოთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რამდენიმე ტომი გამოვა.

მიუხედავად ამისა, რის ვაივაგლახით რაღაცა ხერხდება. მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად მხატვრულად ტანმოვარჯიშეები ჩაერთვებიან. მათ უმთავრეს ასპარეზობას 18-21 ოქტომბერს ესპანეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. პაექრობები კი „ხუან კარლოს I საგამოფენო ცენტრში" გაიმართება. ისე, რომ არა გარკვეული ფინანსური სიძნელეები, 24-ე მსოფლიოს პირველობა მადრიდის ნაცვლად ავსტრიის დედაქალაქ ვენაში უნდა ჩატარებულიყო.

მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის მზად არიან ვანდა კერესელიძე, ინგა თავდიშვილი და ქეთი ბაკურაძე. ფინანსური პრობლემების საბოლოოდ მოგვარების შემთხვევაში, სპორტსმენებთან ერთად მწვრთნელი ელისო ბედოშვილი და მსაჯი ბელა კობალაძეც გაემგზავრებიან. აქედან ვანდა კერესელიძისა და ელისო ბედოშვილს ესპანეთში გამგზავრების საკითხი აჭარის სპორტის და ოლიმპიურმა კომიტეტებმა გადაჭრეს. ინგა თავდიშვილი კი, რომელიც ამჟამად იტალიაში ვარჯიშობს, მადრიდში სპორტის აკადემიის რექტორ ომარ გოგიაშვილის შემწეობით იასპარეზებს.

რაც შეეხებათ ქეთი ბაკურაძესა და ბელა კობალაძეს, მათთან დაკავშირებით მოლაპარაკება მიმდინარეობს თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამმართველოსთან და როგორც ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტმა გვითხრა, ალბათ, ეს საქმეც დადებითად გადაწყდება.

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა ვინაობა კი ახლახან დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გაირკვა. რაკი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ საერთო ჩათვლაში აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა კერესელიძემ. ამავე ჩათვლაში მეორეობა წილად ხვდა ბაკურაძეს. მესამე ადგილზე კი ნინო გედევანიშვილი გავიდა.

მათგან განსხვავებით, სპორტული ტანმოვარჯიშეები ეროვნული ჩემპიონატის მიხედვით არ შეურჩევიათ, რადგან, ომარ ლონლაძის თქმით, ილია გიორგაძე და ალექსანდრე თვაური საქართველოს პირველობის მონაწილეებზე ერთი თავით მაღლა დგანან. ასე რომ, 27 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით მსოფლიოს ჩემპიონატზე ბელგიურ გენტში, „ფლანდერს სპორტ არენაზე" სწორედ მათ ვიხილავთ. არის იმის იმედიც, რომ გიორგაძეც და თვაურიც ფინალში მოხვდებიან. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ამის განსაზღვრა ძნელია, თუმცა ყველაფერია მოსალოდნელი. ამჟამად ორივე მათგანი მოსკოვში ემზადება. სპორტულ ტანმოვარჯიშეთა გუნდის, მათ შორის მწვრთნელის, რონ პასიკაშვილის და მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯად მიწვეული ომარ ლონლაძის დაფინანსება სეოკ-ისაიცე პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ იკისრა.

**გიგა გურასაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-ბაიერნი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-შალკე | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 003 | კოტბუსი-ლევერკუზენი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-ხტ. პაული | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-ჰერტა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 006 | კაისერსლაუტერნი-ჰანზა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 007 | კაისერსლაუტერნი-ჰანზა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 008 | გლადბახი-დორტმუნდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 20.30 | 009 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.30 | 010 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. IX ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 014 | უნიონი-აინტრახტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-ალენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 016 | ფიურტი-არმინია | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 017 | ჰანოვერი-ბაბელსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 018 | მაინცი-როიტლინგენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **15 ოქტომბერი.** | | | |
| 23.15 | 019 | ბოხუმი-ვალდჰოფი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 17.00 | 023 | ურდინგენი-ფერლი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 17.00 | 024 | ქემნიცი-ესენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.00 | 025 | ოსნაბრიუკი-დიუსელდორფი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 17.00 | 027 | პადერბორნი-აუე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.00 | 028 | ფორტუნა-ვატენშაიდი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 17.00 | 029 | დრეზდენი-ლევერკუზენი (მ.) | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 16.30 | 032 | რეგენსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 033 | მანჰაიმი-ბურგჰაუზენი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 034 | ოფენბახი-კაისერსლაუტერნი (მ.) | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 035 | ელვერსბერგი-ვეჰენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 036 | ტრირი-აალენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 037 | შტუტგარტი (მ.)-ანსბახი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.00 | 038 | ზიგენი-ბაიერნი (მ.) | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 16.00 | 039 | ლივერპული-ლიდსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 040 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 041 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 042 | ჩელსი-ლესტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 043 | ჩელსი-ლესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 044 | იფსვიჩი-ევერტონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 045 | საუთჰემპტონი-არსენალი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 19.00 | 046 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 047 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.00 | 048 | ასტონ ვილა-ფულემი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **15 ოქტომბერი.** | | | |
| 24.00 | 049 | ტოტენჰემი-დერბი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XIII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 19.00 | 053 | ბარნსლი-ბირმინგემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 054 | ბრედფორდი-ვულვსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 055 | ქრიუ-პრესტონი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 056 | კრ. პალასი-უიმბლდონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 057 | ჯილინგემი-ნორვიჩი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 058 | სიტი-სტოკპორტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 059 | სიტი-სტოკპორტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 060 | ნოტინგემი-ბარნლი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 061 | შეფილდი-გრიმსბი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 062 | უოტფორდი-უენსდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 22.15 | 063 | უოლსოლი-ქოვენთრი | 2,9 | 3,2 | 2,2 |

**ინგლისი. II დივიზიონი. XIII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 19.00 | 067 | ბლეკპული-კოლჩესტერი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 068 | ბრენტფორდი-პიტერბრო | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 069 | კემბრიჯი-ბერი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 070 | ჩესტერფილდი-პორტ ვეილი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 071 | ჰადერსფილდი-ბრაიტონი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 072 | ნორთჰემპტონი-ტრანმერი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 073 | ოლდემი-ბრისტოლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 074 | რედინგი-სუინდონი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 075 | სტოკი-ნოტსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 076 | რექსემი-ქუინზ პარკი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 077 | უიკომბი-ბორნმუთი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XIII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 19.00 | 079 | როვერსი-მაკლსფილდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 080 | დარლინგტონი-მენსფილდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 081 | ექსეტერი-კარლაილი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 082 | ჰარტლპული-იორკი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 083 | ჰალი-ტორკი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 084 | კიდერმინსტერი-ჩელტენემი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 085 | ლეიტონი-შრიუსბერი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 086 | ლინკოლნი-ოქსფორდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 087 | პლიმუთი-ჰალიფაქსი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 088 | როჩდეილი-რაშდენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 089 | სკანთორპი-ლუტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 090 | საუთენდი-სუონსი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. X ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 20.15 | 091 | მეცი-მარსელი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 092 | ოსერი-ტრუა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 093 | ლილი-ნანტი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 094 | ლორიანი-ლანსი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 095 | მონაკო-სედანი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 096 | მონპელიე-ბორდო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 097 | რენი-გენგამი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 098 | სოშო-ბასტია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 23.45 | 099 | პსჟ-ლიონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 23.00 | 104 | ამიენი-მარტიგი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 105 | კაენი-ნიორი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 106 | შატორუ-ნიმი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 107 | კრეტეი-სტრასბური | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 23.00 | 108 | ნანსი-ბოვე | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 109 | სტ. ეტიენი-ლე ავრი | 2,2 | 2,7 | 3,4 |

**იტალია. სერია „ა“. VII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 110 | ლაციო-ატალანტა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 111 | ლაციო-ატალანტა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 112 | პერუჯა-რომა | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 113 | ბრეშა-კიევო | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 18.00 | 114 | იუვენტუსი-ტორინო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 115 | იუვენტუსი-ტორინო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 116 | ლეჩე-ფიორენტინა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 18.00 | 117 | მილანი-ვენეცია | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 118 | მილანი-ვენეცია 0:1 | 1,55 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 119 | პარმა-პიაჩენცა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 18.00 | 120 | ვერონა-ბოლონია | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.30 | 121 | უდინეზე-ინტერი | 3,6 | 2,9 | 2,0 |

**იტალია. სერია „ბ“. IX ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 123 | ჩიტადელა-ნაპოლი | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 18.00 | 124 | მესინა-პალერმო | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 125 | მოდენა-კალიარი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 126 | რეჯინა-ემპოლი | 1,95 | 2,7 | 4,2 |
| 18.00 | 127 | სალერნიტანა-კოსენცა | 1,85 | 2,7 | 4,7 |
| 18.00 | 128 | სამპდორია-პისტოიეზე | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 129 | სიენა-კომო | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 130 | ტერნანა-ანკონა | 2,0 | 2,6 | 4,0 |
| | | **15 ოქტომბერი.** | | | |
| 23.45 | 131 | კროტონე-ვიჩენცა | 2,5 | 2,6 | 2,9 |

**იტალია. სერია „ც1-ა“. VII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 139 | ტრიესტინა-ლუმეცანე | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 132 | ალბინოლეფე-ლუკეზე | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 133 | არეცო-ვარეზე | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 134 | კარარეზე-რეჯანა | 1,85 | 2,7 | 4,7 |
| 18.00 | 135 | ჩეზენა-სპეცია | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 136 | ლეკო-ალძანო | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 137 | ლივორნო-პიზა | 1,55 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 138 | სპალ-მონცა | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| | | **15 ოქტომბერი.** | | | |
| 23.30 | 140 | პადოვა-ტრევიზო | 3,1 | 2,6 | 2,4 |

**იტალია. სერია „ც1-ბ“. VII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 18.00 | 141 | ასკოლი-ბენევენტო | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 142 | დი სანგრო-ტორესი | 2,0 | 2,6 | 4,0 |
| 18.00 | 143 | ჯულიანოვა-ფერმანა | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 144 | ლანჩანო-კროტი | 1,95 | 2,6 | 4,4 |
| 18.00 | 145 | ლოდიჯანი-პესკარა | 2,4 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 146 | ნოჩერინა-ვიტერბეზე | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 147 | სორა-კატანია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 148 | ტარანტო-აკილა | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 149 | პეზარო-აველინო | 2,6 | 2,5 | 2,9 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. VIII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 23.45 | 151 | სარაგოსა-დეპორტივო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 24.00 | 152 | სევილია-მალიორკა | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 00.30 | 153 | ალავესი-რეალი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 21.00 | 150 | ბარსელონა-ვალენსია | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 154 | ლას პალმასი-ესპანიოლი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 22.00 | 155 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 21.00 | 156 | ვილიარეალი-მალაგა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 157 | რაიო-სოსიედადი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 21.00 | 158 | ოსასუნა-ტენერიფე | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 23.00 | 159 | სელტა-ბეტისი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. IX ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 21.30 | 160 | რასინგი-ლეგანესი | 1,85 | 2,7 | 4,7 |
| 21.30 | 161 | სერესი-კორდობა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 15.00 | 162 | ბურგოსი-ფეროლი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 20.00 | 163 | ხაენი-ეიბარი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 21.00 | 164 | ესტრემადურა-ლევანტე | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 21.00 | 165 | ოვიედო-სალამანკა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 21.00 | 166 | ხიმნასტიკო-უელვა | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 21.00 | 167 | პოლი ეხიდო-სპორტინგი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 168 | ატლეტიკო-ბადახოსი | 1,4 | 3,5 | 8,0 |
| | 169 | ატლეტიკო-ბადახოსი 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| 21.00 | 170 | მურსია-ნუმანსია | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 21.00 | 171 | ელჩე-ალბასეტე | 2,2 | 2,8 | 3,3 |

**პორტუგალია. I ლიგა. VIII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 22.00 | 173 | ბრაგა-სპორტინგი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 24.00 | 174 | ლეირია-ბენფიკა | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 01.00 | 175 | სანტა კლარა-ფერეირა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 01.30 | 176 | პორტუ-სალგეირუში | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 177 | პორტუ-სალგეირუში 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 20.00 | 178 | ალვერკა-სეტუბალი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 179 | ჟილ ვისენტე-ვარზიმი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 01.00 | 180 | ფარენსე-მარიტიმუ | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | |
| 00.30 | 181 | ბელენენსეში-ბეირა მარი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**პორტუგალია. II ლიგა. VIII ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 19.30 | 182 | ოლივეირენსე-პენაფიელი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 20.00 | 183 | ოვარენსე-ამადორა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 184 | პორტიმონენსე-ნავალი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 185 | რიუ ავე-აკადემიკა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 186 | ლეცა-ნასიონალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 187 | ლამაში-ავეში | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 188 | ესპინიუ-შავეში | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 189 | მაია-მორეირენსე | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. IX ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 22.30 | 198 | სიტარდი-სპარტა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.30 | 199 | ვალვაიკი-აიაქსი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 22.30 | 200 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 17.30 | 201 | ნაიმეგენი-ვიტესი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 17.30 | 202 | ბრედა-დენ ბოსხი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 17.30 | 203 | ფეიენოორდი-გრონინგენი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 204 | ფეიენოორდი-გრონინგენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 17.30 | 205 | უტრეხტი-ტილბურგი | 2,2 | 3,3 | 2,9 |
| 17.30 | 206 | გრააფსხაპი-ტვენტე | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. IX ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 22.30 | 214 | იგლსი-ტელსტარი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.30 | 215 | ვეენდამი-ჰელმონდი | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| | | **14 ოქტომბერი.** | | | |
| 17.30 | 216 | ვოლენდამი-ჰერაკლესი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**ბელგია. I დივიზიონი. IX ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ოქტომბერი.** | | | |
| 23.00 | 226 | შარლერუა-ლუვეი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 227 | შარლერუა-ლუვეი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 228 | სტანდარდი-ანტვერპენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 229 | სტანდარდი-ანტვერპენი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 230 | მოლენბეკი-ბევერენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 23.00 | 231 | სტ. ტრუიდენი-ლოკერენი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 232 | მუსკრონი-ვესტერლო | 1,8 | 3,3 | 3,6 |
